საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ელიტა კახიძე

ეროვნული თვითშეგნების პოეტური გარდასახვა მუხრან მაჭავარიანის ლირიკაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლელა კუკულაძე -ასოც. პროფ.

აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

მუხრან მაჭავარიანს გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული პოეზიის შემოქმედებით სივრცეში. მისი ლირიკული ქმნილებანი ყურადღებას იქცევენ დროის მძაფრი განცდით, ეპოქის სუნთქვით, ერის ჭირ-ვარამის შეგნებითა და სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობით. მის პოეზიაში მრავალი ისეთი ტენდენცია ვლინდება და მკვიდრდება, რომელიც ეროვნული პოეზიის წიაღიდანაა აღებული. პოეტის თავისუფალი ლექსები ვერსიფიკაციული და რიტმული თვალსაზრისითაც კლასიკური პოეზიის ძირებთან სისხლხორცეულადაა დაკავშირებული. ამავდროულად, მუხრან მაჭავარიანმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თანამედროვე ქართულ პოეზიაში ახალი ტენდენციების დამკვიდრების საქმეში. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ დიდებული შემოქმედის პოეზიასთან კიდევ ერთხელ ზიარების ცდაა.

Annotation

Mukhran Machavariani has a distinctive place in the creative space of Georgian poetry. His lyrical creatures are paid a great attention by a strong feeling of the time, by the breathing of the epoch, the feeling of the nation's rigor and the feeling of responsibility towards the homeland.

In his poetry, there are many different tendencies that emerge and are derived from the poetry of national poetry. Poet's free poems are related to the classical poetry roots in the verifiable and rhythmic perspective. At the same time, Mukhran Machavariani played an important role in the establishment of new trends in modern Georgian poetry. The present work is exactly a part of the of the sacrament attempt of poetry.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ---------- 5

I საკითხის კვლევის ისტორიისთვის ---------- 7

II მუხრან მაჭავარიანის პატრიოტული ლირიკა (,,გულს ნუ გაიტეხ, მუხა კვლავაც შეიმოსება!“) ---------- 16

III ისტორიული წარსული მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში („ვინც იყო!- იგი,რომ არა! არც იქნებოდა,- რაც არი!) ---------- 29

IV „ქართული მარტო ენაა?! ქართული ქართველთ რწმენაა!“ ---------- 47

V საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი პოზიცია მუხრან მაჭავარიანის ლირიკაში --- 55

VI პოეტრისა და პოეზიის დანიშნულება მუხრან მაჭავარიანის ლირიკაში -------- 61

დასკვნა ----------71

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 74

შ ე ს ა ვ ალ ი

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში 60-70-იანი წლები მნიშვნელოვანი სიახლეებითა და მიღწევებით ხასიათდება. ეროვნული პოეტური აზროვნების შინაგანი განახლების ეს პროცესი, უპირველეს ყოვლისა, იმ თაობის მწერალთა სახელებს უკავშირდება, რომელნიც 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-60-იან წლებში გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზე. მუხრან მაჭავარიანი ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და თვითმყოფადი წარმომადგენელია. თავისი დროის რამდენიმე პოეტთან ერთად მან უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თანამედროვე ქართულ პოეზიაში ახალი ტენდენციების დამკვიდრების საქმეში. ამ ნიჭიერმა თაობამ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქართულ პოეზიაში, შეძლო შემოეტანა ახალი სულიერი სამყარო, ახალი თემატიკა, ძველი თემატიკის ახლებურად გადაწყვეტის უნარი, საკუთარი მანამდე არარსებული დამოკიდებულება გარე სამყაროსთან, ლექსში სასაუბრო ტონისა და ლექსიკის ახლებური აღდგენა და მისი ხვედრითი წონის გაზრდა.

სიახლის ძიება, თანამედროულობის საჭირბოროტო საკითხების შეულამაზებლად, მაგრამ მაღალმხატრულად წარმოსახვა, მარადიული პრობლების - სიკეთისა და ბოროტების თუ სიკვდილ-სიცოცხლის ასპექტების სიღრმისეული განსჯა, თვისებრივად ახალი ეთიკური და ესთეტიკური იდეალების წარმოჩენა განსაზღვრავს მუხრან მაჭავარიანის ქართული პოეზიის ძირითად მიზანდასახულობას. ,,ძეო ქუხილისაო!“ ... ასე მიმართა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მუხრან მაჭავარიანს. მუხრან მაჭავარიანის ლექსის ქუხილით მართლაც ბევრჯელ გამოფხიზლებულა მთელი ერი.

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაშიც ლექსის ყოველ კომპონეტს მკაცრად განსაზღვრული ფუნქცია აკისრია ნაწარმოების მხატვრულ იდეასთან მიმართებით: რითმაც, ურითმობაც, სახეობრიობაც, სადა მეტყველებაც, ფორმის სიახლეც, ფორმის ტრადიციულობაც. პოეტის მიზანი ყოველთვის ერთია: ზუსტად, უდანაკარგოდ მიიტანოს მკითხველამდე თავისი სათქმელი, აღძრას მკითხველის გულში სასურველი ემოცია თუ განწყობილება.

თემის აქტუალობა: მუხრან მაჭავარიანის პოეზიის აქტუალობას ფართო მხატვრულ-ესთეტიკური დიაპაზონი, ეროვნული თვითშეგნების პოეტური გარდასახვისა და თანადროულობისათვის აქტუალური პრობლემების წვდომა-გათავისების განსაკუთრებული უნარი, განსხვავებული ხელწერა და მე-20 საუკუნის ქართული ლექსის სრულყოფის საქმეში შეტანილი წვლილი განსაზღვრავს.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების თემატურ და მსოფმხედველობრივი საკითხებზე. ამათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წამყვანი სამშობლოს თემაა. საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვა მწერლის არსებობის მთავარი პირობა. უმნიშვნელოვანესია პოეტისა და პოეზიის დანიშნულების გაგება მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების მიხედვით, რაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პოეტის მსოფლმხედველობაზე, ამქვეყნიური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე და ამასთან მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის ტენდენციებზე.

ნაშრომს აქტუალობას მატებს თემის რამდენიმე მიმართულებით გაშლა და მისი ერთიან კომპლექსში განხილვა, რაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პოეტის მსოფმხედველობაზე, მოქალაქეობრივ მრწამსზე, მის როლსა და ადგილზე მეოცე საუკუნი მეორე ნახევრის ქართული ლირიკის ისტორიაში.

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები, კერძოდ, ეროვნული თემატიკა, ისტორიული წარსული, სამშობლოს სიყვარული, პოეტისა და პოეზიის დანიშნულება, ქართული ენის სიწმინდე. ქართული ლექსის თანმდევი პრობლემების პროცესის ანალიზი, კრიტიკის გამოცდილების გააზრება და გაზიარება, პოეტური ხელწერის თავისებურებათა წარმოჩენა, მისი მოქალაქეობრივი მრწამსის დაფიქსირება - ეს ის საკითხებია, რომელთა მთლიანობა

მუხრან მაჭავარიანის - პოეტისა და ღირსეული მოქალაქის სამოღვაწეო კრედოს გააზრებაში გვეხმარება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება უშუალოდ თემის აქტუალობის, საკვლევი მასალის კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებით.

თემა ნაკვლევია **ისტორიულ-შედარებითი მეთოდის** საფუძველზე.

თავი I

საკითხის კვლევის ისტორიისთვის

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მშვენება, ძარღვიანი, მებრძოლი პოეზიის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია მუხრან მაჭავარიანი. თუკი ვინმე „ცას დაუნიშნავს პოეტად და ერს გაუზრდია“, თუკი ვინმემ შეძლო რუსთაველის, გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟასა და გალაქტიონის სამშობლო მკითხველამდე მიეტანა ქართული სიტყვის ეშხითა და მარილით - ეს მუხრან მაჭავარიანია. კრიტიკოსს გურამ ბენაშვილს უთქვამს, ილია ჭავჭავაძეს რომ მუხრან მაჭავარიანის ლექსები წაეკითხა, ნეტარების ცრემლები წამოუვიდოდაო. მან მუხრანს „ქართული სულის აღმსარებელი“ უწოდა. „მუხრან მაჭავარაინი მარტო ბრწყინვალე პოეტი კი არაა, უერთგულესი მამულიშვილიცაა, რომელსაც ერის წყლული საკუთარ წყულად მიაჩნია. ,, საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი“-ო, ამბობს იგი და მძიმე ჯვარივით ატარებს ქვეყნის და ხალხის ტკივილს. ასე გაიზარდა და ასე ესმის მას სამშობლოს სიყვარული. ის ვერ დაადუმეს, ვერ შეაჩერეს, მისი სიტყვა გაბედული, მისი ლექსი მქუხარეა, არ შემკრთალა. მუდამ სიმართლეს ედგა ქომაგად და დღესაც იქ დგას, სადაც ჭეშმარიტებაა, სადაც აღორძინებისათვის იღწვიან“(ბენაშვილი, 2014:36).

ბესიკ ხარანაული შეფასებით: ,,მუხრანი ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთი ნიშანსვეტია, ურომლისოდაც მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა წარმოუდგენელია. ყველაფერი ახალი მოიტანა თავისი ლექსით, პიროვნებით...“

მუხრან მაჭავარიანის გამორჩეულად თავისთავადი პოეზიის შესახებ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ყველაზე ხშირად გაისმა სიტყვა „ნოვატორი“. იშვიათია მწერალი, რომლის სიტყვასაც ასე მოუთმენლად მოელოდნენ და ასეთი გულისყურით უსმენდნენ მთელს საქართველოში. მას ერთი წუთითაც არ მოუწყვეტია თვალი წარსულისათვის, ტრადიციულისათვის, „მარად ქართულისათვის“. მისი პოეზია არის მედგარი, თავდავიწყებული ბრძოლა იმისათვის, რაც სწამს და არ ემეტება დასათმობად: „მე მინდა სიკვდილს სიმღერა წავაფვარო, - ამაოდ ვშვრები... საფლავებს თვალებივით ახელს სასაფლაოს, - ხორცს იხვეწებიან ძვლები (მაჭავარიანი,1989:460).

მკვლევარი გურამ ასათიანი, რომელიც თავს ერთ-ერთ პირველ „მუხრანოლოგს“ უწოდებს, აღნიშნავს: „ნამდვილი პოეტი ისაა, ვინც ,,ერთი მერცხლისგან“ განსხვავებით თვითონ მოიყვანს გაზაფხულს ... მუხრან მაჭავარიანმა შეძლო, თავისი გაზაფხული მოეყვანა ქართულ პოეზიაში“(ასათიანი, 1983:321). მუხრანის სახელი პირველად მურმან ლებანიძეს გაუჟღერებია და ზეპირადვე წაუკითხავს მისთვის მუხრანის ლექსები: „საბა“ და „ვახტანგ მეფის ნანადირევი“. ლიტერატურის უკვე გამოცდილ კრიტიკოსს მაშინვე მიუქცევია ყურადღება მუხრან მაჭავარიანის თხზულებების უჩვეულო ჟღერადობისთვის, განსაკუთრებისთ კი ინტონაციისთვის. ელგუჯა მაღრაძე წერს: ,,მართალია, მუხრან მაჭავარიანი საკუთარ ლექსებს უზადოდ, დიდის ხელოვნებით კითხულობს, მაგრამ საჯაროდ ძალზე იშვიათად გამოდის. ასე რომ მუხრანის ლექსებმა ხალხის გულის გასაღები მუხრანის ხმისა და ინტონაციის გარეშე იპოვა და იმ გულებში ჩაწერაც მუხრანის გარეშე მოხდა“ (მაღრაძე, 152).

მუხრან მაჭავარიანი დაიბადა 1929 წლის 12 აპრილს სოფელ არგვეთში(საჩხერის რაიონი) მოსამსახურის ოჯახში. 1936 წლიდან 1947 წლამდე საწავლობდა თბილსის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლაში (ყოფილი 25-ე); 1948-49 წლებში თბილისის სამთო-საამშენებლო ტექნიკუმში; 1949 წლიდან 1958 წლამდე თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში - ჯერ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე არაბული ენისა და ლიტერატურის განხრით, შემდეგ ქართულ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

ლექსების თხზვა წერა-კითხვის შესწავლამდე დაიწყო, თუმცა მისი 1952 წელს ლექსები პირველად დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახში -,,პირველი სხივი".

ნოდარ დუმბაძე იხსენებს: „მუხრანის მოსვლა მახსოვს უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეში. არავინ იცნობდა წესიერად მაშინ. მოვიდა მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, გრძელთმიანი და ჭკვიანთვალებიანი ბიჭი. იჯდა უხმოდ, სიტყვა ითხოვა ბოლოს. გვეგონა ლექსს წაიკითხავდა – არაფერიც, მგზნებარე სიტყვა თქვა ბოხი და ზარჩადგმული ხმით.

- მე მჯერა, მოვა კაცი, პოეტი! დაანთებს ხანძარს, შეაზანზარებს მთებს, რომლებიც დგანან და ელიან. მის ხმაზე დაიძრებიან მყინვარები, მდინარეები, აღმოსავლეთიდან ზვრები, დასავლეთიდან ჩაის ბუჩქები, და მის სმენად მოვიდიან კაცნი და მხეცნი... მე მჯერა!

და რა იცოდა მაშინ მუხრანმა, ან მე რა ვიცოდი, რომ ეს კაცი თვითონ იქნებოდა (დუმბაძე, 2014: 49).

1954 წლიდან მუხრან მაჭავარიანი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. 1967 წლიდან მუშაობდა ჟურნალ ,,დილას" მთავარ რედაქტორად. იყო ავტორი მეცნიერული ნაშრომისა ,,რამდენიმე სიტყვა" (1989) ასევე შექმნილი აქვს ეტიმოლოგიური ძიებანი, ნარკვევი ისტორიიდან (2000).

1955 წელს გამომცემლობა ,,სახელგამმა" გამოსცა პოეტის ლექსების პირველი კრებული; 1957 წელს გამომცემლობა ,,საბლიტგამმა" გამოსცა მუხრანის საბავშვო ლექსები - სათაურით ,,უნდა გახაროთ"; 1959 წელს კი პოეტმა ორი წიგნი გამოსცა - ,,წითელი მზე და მწვანე ბალახი" და ,, სიჩუმე უშენოდ". ეს უკანასკნელი პოეტური კრებული რუსულად თარგმნა ევგენი ევტუშენკომ. მიუხედავად ამისა, რომ მუხრანის იმდროინდელ ლექსებში აშკარად ვლინდება ნიჭიერი შემოქმედის მახვილი თავალი, ეს პირველი ნაწარმოებები მაინც გაგრძელება იყო იმ ფარული, მკითხველისათვის

უჩინარი პერიოდისა, თავად ავტორი ,,ლექსის წერის პრაქტიკას“ რომ არქმევს სახელად. ამას მოყვა სხვა გამოცემებიც (იყო სულ 9 წიგნის ავტორი).

მუხრან მაჭავარიანის ლექსები თარგმნილი პოლონურად, ჩეხურად, ბულგარულად, გერმანულად, იტალიურად, ფრანგულად და ა.შ ენებზე.

1989 წელს მას მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, ამას მოჰყვა მემედ აბაშიძის სახელობის პრემიაც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ აკადემიკოსობა მიანიჭა, ქართველმა მწერლებმა კი უბოძეს ქართველური პოეზიის რაინდის საპატიო წოდება.

გარდა საკუთარი პოეტური შემოქმედებისა, ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას, ნათარგმნი აქვს რუსი, აფხაზი და ოსი პოეტების საუკეთესო ნაწარმოებები, ცნობილი ჩილელი პოეტის პაბლო ნერუდას პოემები, ფინური ეპოსი ,,კალევალა“...

თავის ჩანაწერებში ,,ჩვეულებრიობით არაჩვეულებრივში“ პოეტი გვესაუბრება რა საკუთარ ცხოვრების სხვადასხვა პერიოდზე, აღნიშნავს: „ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილი მონაკვეთია ჩემი სიყრმე და სიჭაბუკე, - დაკავშირებული საჩხერესთან, - საჩხერის პატარა მატარებელთან. ჩემი გულის ქროლა იწყებოდა შორაპანში, დიდი მატარებლიდან პატარაში გადაჯდომისას, ჭიათურაში გული უფრო უმატებდა ძგერას, საჩხერეში კიდევ უფრო, არგვეთში კი, როცა შორიდან თვალს მოვკრავდი ხოლმე ჩვენს ეზოში აღმართულ ვეებერთელა კაკლის ხეს, უკვე ზენიტს აღწევდა ჩემი სიხარული“ (მაჭავარიანი, 2014:34).

მშობლიურ სოფელ არგვეთში განცდილი ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებანი და მოგონებანი გამოხატა პოეტმა ლექსების ციკლში ,,წისქვილის ღამე“. ამავე ციკლში, ჩანს აგრეთვე ყველაზე ძლიერად მუხრან მაჭავარიანის ოსტატობა ეროვნული თვითმყოფადობით აღბეჭდილი პეიზაჟების ხატვის დროს საინტერესოდ მიგნებულ პოეტურ სახეებში ნათელი ფერებით იძერწება პიროვნების სულის შინაგანი თრთოლვიდან ამოზრდილი მშობლიური სოფლის სანახები. ლექსების აღნიშნული ციკლი იმითაცაა საყურადღებო, რომ მასში პოეტი საინტერესოდ ხატავს სოფლის იდილიური ყოფის რამდენიმე დამახასიათებელ ფრაგმენტს, რომელიც ავტობიოგრაფიული ეპიზოდებითა და მოგონებებითაა მკაფიოდ

აღბეჭდილი. ასე შემოჰყავს ავტორს თავის ლირიკაში მთელი გალერეა ლირიკული პერსონაჟებისა:

„რომ არ ამეღო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა,
რომ არ გამედგა ფეხი ჩვენი კაკლის ჩეროდან,
რომ მეთოხნა და შემესარა მხოლოდ ვენახი.
დიდი ქალაქი რომ არ მენახა!-
მეყოლებოდა ახლა ხარები.
შემოდგომაზე მთიდან შეშას ჩამოვიტანდი.
არ ვიქნებოდი აღარც ღარიბი, აღარც მდიდარი.
ცოლი ყოველდღე თიხის კეცებს გაახურებდა,
ცივ სოხანებზე გადმოდგამდა ლობიოს ქოთნით.
მეყვარებოდა, როგორც მიყვარს, მინდვრის ყურება -
აიზლაზნება მინდვრებიდან როდესაც ორთქლი.
პარასკეობით საჩხერეში გავყიდდი სიმინდს,
მეუღლეს ჩემსას ჩითის კაბას ვუყიდდი იმით,
სოფლის სკოლაში ორი ბავშვი ჩემიც ივლიდა:
ბიჭს ალბათ ვანო ერქმეოდა, გოგოს - ივლიტა, -
რომ არ ამეღო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა,
რომ არ გამედგა ფეხი ჩვენი კაკლის ჩეროდან.“

(მაჭავარიანი, 2007:161)

2010 წლის 17 მაისს თბილისში, დიდი შოთას სახელობის თეატრში მუხრან მაჭავარიანი უნდა მისალმებოდა და 85 წლისთავი მიელოცა სახელოვან აჭარელი მწერლის (პოეტისა და პროზაიკოსის), შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატ ფრიდონ ხალვაშისათვის. მუხრანს წინასწარ, 15 მაისს, მოუმზადებია ორგვერდიანი მისალმება. ასულა კიდეც სცენაზე მისალოცად, თითქოს ნახევარი წაუკითხავს და ... ამ დროს შეწყდა პოეტის სააქაო ცხოვრება. ბატონი გივი ბოჯგუა ამბობს: ,,თავისი ცხოვრების ბოლო ციცაბო აღმართი აიარა მუხრანმა და... კი არ წაიქცა რეალურ სცენაზე, არამედ ჩაიმუხლა, რათა ახალი აღმართის დაურვებას შესდგომოდა

მთაწმინდისაკენ. და ჰა, დინჯად (როგორც იცოდა), სვენებ-სვენებით, მაგრამ ღირსეულად ამაღლდა. ამიერი სამყაროდან გადასახლდა იმიერში - საქართველოს სათაყვანო შვილთა საბრძანისში. ოსანა, მუხრან, ოსანა!(ბოჯგუა,

მუხრან მაჭავრაიანის აგრე უცაბედად გასვლა წუთისოფლიდან მოულოდნელიც იყო, უსამართლოცა და დასანანიც. უამრავლი თვალცრემლიანი ადამიანი ეხვია თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე მუდამ საყვარელ, ომახიან, წუთის წინ კი დადუმებულ პოეტს. ვერ უშველეს! ასე გაცხადდა ქართულ ხალხურ პოეზიაში თავჩენილი სიბრძნე წუთისოფლის მუხანათობის მამხილებელი:

„ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება.

რა არის ჩვენი ჩვენი სიცოცხლე,ჩიტივით გაგვიფრინდება...

უჩუმრად მოვა სიკვდილი. იმ წამში აგვყრის იარაღს.

ჩვენ რას წავიღებთ ამქვეყნად, სხვას არა წაუღია-რა.“

(ქართული ხალხური პოეზია, 1979:41-42)

მამულისა და პოეზიის სიყვარულმა ჩაფერფლა პოეტის გული, როგორც თავის ლექსში ,,ჩემი ეპიტაფია“ (წარწერა საფლავის ქვის ორივე მხარეს) აღნიშნავს:

„შენი არ იყოს, - ჩემო ირაკლი!-

ვერ ვიდევგმირე!- ვერ ვიწინაპრე!-

ჭირმა ჩენმმა და ჩემმა სილაღემ!-

მამულმა შენებრ შემიწირა მე.“

(მაჭავარიანი, 2007: 68)

მუხრან მაჭავარიანის ლირიკაში თითქოს გენეტიკურად გძელდება გ. ლეონიძის პოეზიის მაგისტრალურ ხაზად ქცეული ომახიანი და ნაპირებგადამცდარი ხალისი სიჭაბუკისა და სიცოცხლისა, მაგრამ ამ ორი პოეტის ასეთი ნათესაური სიახლოვე უფრო განწყობილებისეულია, ვიდრე ფორმისეული. გამომსახველობით საშუალებათა მკვეთრი ინდივიდუალურობის და განსხვავებულობის მიუხედავად, ეს მსგავსება, ვფიქრობ, არ უნდა იყოს ძნელი დასანახი. აქვს მუხრანს ისეთი ლექსები, რომელთა კითხვისას თითქოს შორეულად გვესმის გ. ლეონიძის ლიტერატურული სამყაროდან

არეკლილი იდუმალი პოეტური ხმები (,,ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე“, ,,ვხვდები გაზაფხულს“, ,,გითხრა რა გითხრა, ვით გითხრა“, ,,ამოვიდა მზე“, ,, ხელს ვართმევ გაზაფხულს“, ,,ფერდობებზე ნახირი ძოვს“, ,,მიხარია, დატრიალდა მიწის ორთქლი ჰაერში“...)

ვახტანგ ჯავახაძე ამბობს ერთგან: ,,მიხეილ ჯავახიშვილმა გიორგი ლეონიძეს ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლული პოეტი უწოდა. იმავეს ვიტყოდი მუხრან მაჭავარიანზე. ის არის ქართველი პოეტი. ის არის ღირსეული მთაწმინდელი. ყველა საუკუნის დიდი ქართველი პოეტი, რომელმაც სიცოცხლეშივე ჰპოვა აღიარება, ისე რომ მას დროის დისტანცია არ სჭირდება“.

რაფინირებული კლასიკური ფორმების აღზევების ჟამს 40-50-იანი წლებში, ქართული მკითხველისათვის რამდენიმე უჩვეულო და მოულოდნელი აღმოჩნდა მუხრან მაჭავარიანის მიერ გამოქვეყნებული ,,ხორკლიანი” ლექსები. ამგვარ ფორმისეულ სიახლეს ის მოჭარბებული სასაუბრო ინტონაციებითა და ყოფითი დეტალებიც ემატებოდა, რომელნიც მან შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში თავისი პირველივე ნაწარმოებებით. პოეტის თანამოკალმისა და მეგობრის - მურმან ლებანიძის - შეფასებით, „მუხრან მაჭავარიანის ლექსი დღესავით ნათელია, შორს დგას მუხრანის პოეზია ეგრეთ წოდებული ,,უსაგნო ლირიკისაგან!“ ომის შემდგომ ქართულ პოეზიაში ბევრს არაფერს მიუპყრია იმდენი ყურადღება, რამდენიც მუხრან მაჭავარიანის გამოსვლამ მიიპყრო. ანა კალანდაძის სახელთან ერთად მუხრან მაჭავარიანის სახელმა ახალი პერსპექტივები გაანათა. შტამპის ბატონობისა და აზრის სიღარიბის პირობებში, ამ ოცდაათი წლის წინათ, მუხრან მაჭავარიანი მოგვევლინა მოულოდნელი, მანამდე ჩვენთვის უცნობი, ერთი შეხედვით უჩვეულო ქართული ლექსით. უბოდიშობამდე მისული გაბედულება, ოცი წლის ჭაბუკისათვის შეუფერებელი აზრის სიმძიმე და რკინისებური ლოგიკა მსჭვალავდა იმთავითვე მის პოეტურ ფორმულებს და ცალკეულ სახეებს. მუხრან მაჭავარიანი ანგრევდა ძველ რიტმულ კონსტრუქციებს, ქმნიდა ახალ ჰარმონიებს, აახლებდა დიდი ხნით მივიწყებულ თავისუფალ ლექსს... პოეზიის მაშინდელ კანონმდებელთათვის გამაღიზიანებელიც კი იყო კლასიკურ ლექსთან მისი მოურიდებელი დამოკიდებულება

და ჭეშმარიტი პოეზიის ხარისხში საკვირველი სიმსუბუქით აყავნილი მისი კატეგორიული განცხადებანი(ლებანიძე, 1979:3).

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში მრავალი ისეთი ტენდენცია ვლინდება და მკვიდრდება, რომელიც ეროვნული პოეზიის წიაღიდანაა აღებული. პოეტის თავისუფალი ლექსები ვერსიფიკაციული და რიტმული თვალსაზრისით კლასიკური პოეზიის ძირებთან სისხლხორცეულადაა დაკავშირებული და სალექსო ტაეპებში მარცვალთა ,,ანარქიას“ მათში მნიშვნელოვან წილად აწესრიგებს და მუსიკალური მდინარების ყალიბში აქცევს მძაფრად გამოვლენილი რიტმი (,,საბა“, ,,მიწურული მეცხრამეტე საუკუნისა ანუ იმერული ქელეხი“, ,,ჭოლა“, ,,საქმიანი ღორი“, ,,რაშია საქმე?!“, ,,საწვრივ ზოოლოგიური პარკის ზღუდის“ ციკლი ,, დიალოგები წვიმაში“, და სხვა).

ჩვევლებრივი, რიგითი ადამიანების, ფიქრებისა და სატკივარის გაზიარება წარმოადგენს პოეტის უმთავრეს საზრუნავს. მისი ლექსის ლირიკული გმირი არ არის ერთი ინდივიდი. იგი ქართველი ერის და ზოგადად ყოველივე ქართულის ერთ მთლიანობაში გამოხატული ერთობლიობაა, რომელიც მათი ტრადიციების დაცვას ემსახურება.

მკვლევარ გურამ ასათიანის მიგნებით, „მუხრან მაჭავარიანი პოეტების ძლიერ ჯიშს ეკუთვნის. მისი ძლიერება რამდენიმე ნიშნით განისაზღვრება. ჯერ ერთი, ძლიერი მუხლით. ეს ის ძალაა, რომელიც გაქანებული მატარებლიდან გადმომხტარს, ფეხზე გაჩერების საშუალებას გაძლევს - ინერციის დამძლევი ძალა. ასე მიჰქროდა ქართული პოეზია თავისი გზით, როცა ახალგაზრდა მუხრან მაჭავარიანმა მოულოდნელი ნახტომი გააკეთა. ეს მოხდა 50-იან წლებში.

მეორე: ძლიერი, ურყევი ხასიათით. ძლიერი პიროვნება იმარჯვებს ან მარცხდება. მხოლოდ ერთი რამ არ ძალუძს: დანებება. სამაგიეროდ გამარჯვებაც მისია და მარცხიც, - მისი პიროვნული ნიშნით აღბეჭდილი.

მესამე: ძლიერი ხმით. ის, რისი თქმაც მან შეძლო, სხვებმაც სცადეს, მაგრამ მხოლოდ მან მოახერხა ასე ხმამაღლა, შთამბეჭდავად, ყველასათვის გასაგონად

ეთქვა. საგულისხმოა ისიც, რომ მას განგებ არ ,,დაუბოხებია“ ხმა. ასეთი გრგვინვა მუხრანის ლექსს თვით ბუნებამ მისცა(ასათიანი, 1983: 322-323).

არაერთ საზოგადო მოღვაწესა თუ კრიტიკოს გამოუთქვამს საინტერესო მოსაზრება მუხრან მაჭავარიანის პოეზიის შესახებ. მათ შორის აღსანიშნავია: გ. ასათიანის, ა. ხინთიბიძის, მ. ჩორგოლაშვილის, ჯ. ღვინჯილიას, ტ. კვანჭირაშვილის, ლ. ბრეგაძის, ც. ღლონტის, მ. გვენეტაძის, ე. მაღრაძის, თ. დოიაშვილის პუბლიცისტური წერილები თუ მეცნიერული გამოკვლევები. კრიტიკოსები, პირველყოვლისა, აღნიშნავენ პოეტის შემოქმედების უნივერსალურ ხასიათს, რაც გამოიხათება ქართული სიტყვის განსაკუთრებულ ფლობაში, არქაული ფენის გაცოცხლებაში, პოეტური სიტყვაქმნების ნიმუშების სიჭარბესა და სხვა თავისებურებებში. მუხრან მაჭავრაინაი ქართულ პოეზიაში ორიგინალური სტილით, ოსტატობით და ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხედვით გამოირჩევა.

მკვლევარ ავთანდილ ნიკოლეიშვილის მიგნებით, „პოეტურ ფორმათა თავისებურებების მიუხედვად, მუხრამ მაჭავარიანის ყველაზე თავისუფალი ლექსიც კი ხელაღებით არ სცილდება ქართული კლასიკური პოეზიის მრავალსაუკუნოვან სტრუქტურას და ავტორის ვერსიფიკაციული ძიებანი, უპირველ ყოვლისა, სწორედ მის სიღრმეში იღებს სათავეს... თავდაპირველად ეს პოეტური სიახლეები მხოლოდ გულმხურვალე ტაშისცემითა და აღფრთოვანებით როდი მიიღო ლიტერატურულმა საზოგადოებამ. თავად პოეტის თქმით, პირველად მისი ხმა ,,ერთობ იჩოთირა მკითხველმა“. შემოქმედებითი ძიებებისადმი ასეთმა ,,საჩოთირო დამოკიდებულებამ“, რომელიც ხშირად ცდებოდა სკეპტიკური დუმილის ფარგლებს და კრიტიკულ გულისწყრომად აცხრებოდა თავის ახალგაზრდა ავტორს, საბედნიეროდ, მას არჩეული გზიდან ვერ გადაახვევინა. 19-20 წლის მუხრანი უკვე ჩამოყალიბდა მკვეთრად ორიგინალური ხმისა და სტილის შემოქმედად და მისმა ლიტერატურულმა მიღწევებმა მრავალი ნიშნის მიხედვით მისცა ტონი 60-იანი წლების ქართული პოეზიის განახლების პროცესს (ნიკოლეიშვილი, 2002:414-416).

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მუხრანის პოეზიაში ფართოდ გამოვლენილ ვერსიფიკაციულ სიახლეებს, ეპოქალურ მოვლენათა კრიტიკულ-

პოლემიკურ განსჯას, ეროვნულ-ეთნოგრაფიული კოლორიტის ხელშესახებ განცდას, მკვეთრად ინდივიდუალურ ენობრივ პოზიციასა. სწორედ ამ საკითხთა შეძლებისდაგვარად ამომწურავ ანალიზს ისახავს მიზნად ჩემი სამაგისტრო ნაშრომი.

თავი II

მუხრან მაჭავარიანის პატრიოტული ლირიკა

(„გულს ნუ გაიტეხ, მუხა კვლავაც შეიმოსება!“)

სამშობლოს სიყვარული ყველა კეთილგონიერი ადამიანის თვისებაა, თითქოს აკვნიდანვე თან დაჰყვება იმ უდიდესი ფასეულობის თაყვანისცემა, რასაც მშობლიური ქვეყანა ჰქვია, ამიტომ გასაკვირი არა არის, რომ ყოველი ღირსეული პოეტის ნაფიქრ-ნააზრევი სამშობლოს სიყვარულის შემოქმედებითი გარდასახვის მცდელობაა.

მუხრან მაჭავარიანის მთელი შემოქმედება სამშობლოს სიყვარულითა შთაგონებული. საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის დროსაც მუხრანი უკან გამდგარიყო და ხმალამოწვდილი არ ებრძოლა ქართული სულის, საქართველოს წარსულისა და მომავლის გადასარჩენად გამართულ ბრძოლაში. როგორც მკვლევარი ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, „იგი ერთ-ერთი გამორჩეული თანამედროვე მწერალი იყო,ვინც თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით დიდად შეუწყო ხელი ქართველი ხალხის გულში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთების გაღვივებას. მის ლექსებში ეს სულისკვეთება, დაუოკებელი სწრაფვა ეროვნული თავისუფლებისაკე, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, ნათლად და მძაფრადაა გამოხატული. ამიტომაც არ დაკლებია პოეტს დევნა და შევიწროვება“ (ნიკოლეიშვილი, 45).

ყოველთვის ისმოდა პოეტის მართალი სიტყვა, იგი ყოველთვის იდგა ქართული სიტყვის სადარაჯოზე. მან საკუთარი პოეზიით გამოაფხიზლა ქართული საზოგადოება. მკვლევარი ვახუშტი კოტეტიშვილი ამბობს, რომ პოეტი თავისი შემოქმედებით ყოველთვის კონფლიქტში იყო რეალობასთან და სათქმელსაც თავისი პოეზიით ამბობდა:

„შენ-სისხლო ჩემო - სად არ დაღვრილო,
შენ- სად არ გხვრეპდა შავი ყორანი.
ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს,

ნადიდგორალი, ნაშამქორალი.

შენ - სისხლო ჩემო - შენი ღვაწლია,

რამაც აქამდეც კი მოაღწია:

სვეტიცხოველი.

ხანძთა,

ვარძია და ისიც ,

რაც მტერს წარუტაცნია.

შენ -სისხლო ჩემო- შენი დინება

„ვეფხისტყაოსნით“ ხშირად მიგრძვნია.

სიტყვა, რომელიც გეჩოთირება,

ვცდილობ, გაშორო, რაც შემიძლია.

შენ- სისხლო ჩემო-სისხლო ხნიერო,

დაუცხრომელო და უცნაურო.

საბედნიეროდ, საბედნიეროდ,

ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობ.“

(მაჭავარიანი,2007:189)

მშობელი ხალხის ტანჯული წარსული იპყრობს პოეტის არსებას. ყველაფერი სხვა ნასწავლია და მხოლოდ სამშობლო ქვეყნის სიყვარულია გენით, ჯიშით, სისხლით კოდირებული. აქედან მომდინარეობს წარსულის უპრეცედენტო ხორცშესხმა პოეტის ლირიკულ თხზულებებში. მკვლევარი გივი ბოჯგუა ამბობს: ,,თქმა და დაფიცება შეიძლება , რომ თუ ვინმე მამულის სიყვარული მასწავლა, ეს მუხრან მაჭავარიანია, - მისი პოეზიაა. იმიტომ, რომ მამულის სიყვარული შეგრძნებაა, რომელიც ისევე გიფორიაქებს სულს, როგორც შთაგონება. ეს ფორიაქი კი მუხრანის ლექსებს თავისთავად მოჰქონდა ისევე, როგორც წყალი მოატანს ხოლმე ქვიშას. ჯერ ამ აფორიაქებულ გონებაზე მატარებდა და მერე თანდათან ჩამოყალიბდა შემეცნებულ შეგრძნებად - მამულის სიყვარულად“ (ბოჯგუა,).

ბევრი ლექსი იწერება სამშობლოს სიყვარულზე, მუხრან მაჭავარიანის დამოკიდებულება ამ თემისადმი მუდამ სიახლის შემცვლელია და სხვადასხვა რაკურსით გვიხატავს მას:

„ხარ საესავი ჩემთვის ტაძარი,
ხარ გარჭობილი გულში ისარი ...
სიტყვა სიტყვაში თუ ვერ ჩავწანი,
ვით ჩუქურთმანი მცხეთის ჯვრისანი,
სამაგიეროდ,- ჩემში რაც არი,-
სხვისი არაა ერთი მისხალი.
წუთისოფელი როცა მიყელებს,-
თიხად ქე მაინს გამომიყენებს!“

(მაჭავარიანი, 2013: 395)

მუხრან მაჭავარიანის ლექსი, ნუგეშთან ერთად, იმის იმედსაც შთაუნერგავდა მკითხველს, რომ ქვეყნად ყველა მონობას აქვს დასასრული და საქართველოც ადრე თუ გვიან, გადაიგდებდა მძიმედ სატარებელ უღელს. რათა პირნათელი ყოფილიყო თავისი ხალხის წინაშე, პოეტს ისიც გულმართლად უნდა ეთქვა, თუ რა სიძნელეების გადალახვა დასჭირდებოდა მას ამ დიადი მიზნის მისაღწევად, რადგან პოეტმა იცოდა, რომ თავისუფლება დიდ მსხვერპლს მოითხოვს, ამიტომ წინდაწინ აფრთხილებდა და არ ერიდებოდა, მათთვის გულახდილად გაემხილა საკუთარი გუმანი:

„ სისხლზე გოდებენ სხვები დაღვრილზე,
მე დასაღვრელი მედარდვის სისხლი.“

(მაჭავარიანი,2007:451)

რაკი ლექსში ,,გოდება“ იყო ნახსენები, დღევანდელი გადასახედიდან ძნელი არ უნდა იყოს მიხვედრა, რომ აქ ის ეროვნული ტრაგედია იგულისხმებოდა, რომელიც ,,9 აპრილის“ სახელით შევიდა ისტორიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1964 წლის საუნივერსიტეტო გამოსვლიდან 1989 წლის 9 აპრილამდე, ანუ მთელი მეოთხედი საუკუნე - ეს არის მუხრან მაჭავარიანის ეპოქა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იცის პოეტმა, რომ სამშობლოს

დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის მისაღწევად კიდევ მრავალი მამულიშვილის სისხლი დაიღვრება:

„იმდენი კარგი ვაჟკაცი მოკვდა,
იმათზე კარგი ვინ უნდა მოკვდეს!
მაგრამ მე მაინც სევდას მგვრის ახლა-
არც ისე იგი, რაც უკვე მოხვდა,
როგორც ის-
აწი რაც უნდა მოხდეს!“

(მუხრან მაჭავრიანი, 2013:286)

ლექსში ,,ოდენ სამშობლო“ პოეტი აგრძელებს ქართულ პოეზიაში არაერთგზის გაჟღერებული ქვეყნის მხსნელი გმირის იმედიან მოლოდინს.

„წუთისოფელი ამნაირად იმიტომ მოდის,-
კაი ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდი!
წესი და რიგი,-
დღეს როა ირგვლივ,-
მყის დაიმსხრევა,-
გამოჩნდება როგორც კი იგი!“

(მუხრან მაჭავრიანი,2006:122)

ასეთია პოეტური წარმოსახვა, პირველქმნილ სიწმინდით მამულისადმი სიყვარულის ვულკანური ამოფქვევა, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მუხარნ მაჭავარიანის მთელ შემოქმედებას. სწორედ ამან ათქვიფრებინა კრიტიკოს გურამ ბენაშვილს, „ილია ჭავჭავაძეს რომ წაეკითხა მუხრან მაჭავარიანის ლექსები, ნეტარების ცრემლები წამოუვიდოდაო“.

მკვლევარი გივი ბოჯგუა აღნიშნავს: ,,მუხრან მაჭავარიანი ქართველ პოეტთა უტეხი, ქედუხრელი, უმამაცესი ლეგიონის ერთ-ერთი უპირველესი წინამძღოლი და მეცხოვნე გახლდათ, რომლის სიტყვაც ისე ბრწყინავდა და კაშკაშებდა თავბრუდამხვევი ქართული პოეზიის ცის კაბადონზე, რომ ნებისმიერი ზიარება მის შემოქმედებასთან, მის ღრმა ნააზრევთან ღირსების გრძნობას მატებდა ქართველ კაცს, ახედებდა რა მას

თავანკარა ქართულის იმ უმშვენიერეს ღვიმეში ჯერაც ხელუხლებელი, ულევი და საარაკო საგანძური რომ იმალება. თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში მუხრან მაჭავარიან მართლაც, რომ საღვთო ომში იყო ჩართული, ქართული სიტყვის, ქართული სულის, საქართველოს წარსულისა და მომავლის გადასარჩენად გამართულ ომში...“ იგი ცხოვრებითაც და შემოქმედებითაც ეროვნული სულის სადარაჯოზე იდგა:

„ნაკუწ-ნაკუწ, ნაკუწ-ნაკუწ, კი არა! _
გაუმარჯოს საქართველოს მთლიანად! _
მიწიანა, კაციანა, ციანა,
საქართველოს მოთმინების ფიალას!“

მუხრან მაჭავარიანს მიაჩნდა, რომ პოეზიას განსაკუთრებული ეროვნული მისია ჰქონდა შესასრულებელი, რადგან აცობიერებდა ერთ ურყევ ჭეშმარიტებას: „კაცობრიობის ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, თუ რაოდენ დიდი ეროვნული როლი შეასრულა არაერთმა საზოგადოებრივი სულისკვეთებით გამსჭვალულმა პოეტურმა ნაწარმოებმა. ეროვნული ენის სრულყოფაში უდიდესი წვლილი პოეზიას შეაქვს. ენა, რომელმაც გამოიარა რუსთველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილია, აკაკისა და ვაჟას ხელში საოცრად დაიხვეწა და მოქნილი გახდა. დღეს, რა თქმა უნდა, ერთობ ძნელია ამ ენას დააჩნიო და შემატო რაიმე. ეს კი ამ საუკუნეში ჯერჯერობით ყველაზე მეტად შეძლო გალაქტიონმა. ამჟამად, როდესაც ძალზე გაცხოველებულია საერთაშორისო კულტურული მოთხოვნილებები-ურთიერთობები, სწორედ ქართულ მწერლობას აწევს დიდი მისია ჩვენი ხასიათისა და სულიერი თვითმყოფადობის განვითარებაში (მაჭავარიანი, 2014:26).

თუ მის შემოქმედებასა და ცხოვრებას გადავავლებთ თვალს, მივხვდებით, რომ არც ცხადში, არც სიზმარში, არც შემოკმედებით ბურუსსა თუ სინათლეში,სამშობლოს გარეშე არ უცხოვრია, მტანჯველ ფიქრებსაც გაუწვალებია, ილიასავით თავის თავზე აუღია ხალხის გაღვიძებისა და შემართების მისია:

„ვიძახი და ვიძახი და ვიძახი და ვიძახი-
ვის ხელშია ბედი ჩვენი ვისაში,

ვის ხელშია ბედი ჩვენი ვისაში!“

(მაჭავარიანი,2007:19)

ეს მისია ჯვრად და გოლგოთად ექცა პოეტს, ტარება ემძიმებოდა, მაგრამ განზე გადგომის უფლებას კი უმაღლესი მოქალაქეობრივი და მამულიშვილური შეგრძნება არ აძლევდა:

„საშველს რომ აღარ მომცემს -
ხოლმე მამულზე ფიქრი,
ხანდახან გულშინ ღიმილით ვიტყვი-
რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტავ, მამულო ჩემო,
გიჭირს თუ გილხინს,
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ,
ანდა რომელი მსაჯული მისი?!
პასუხად იქვე , ვითარცა სეტყვა,
რაც კი და ვინც კი არსებობს ირგვლივ,
იხუვლებს ერთხმად იხუვლებს მძლავრად
ღალატიაო მაგგვარი ფიქრი!“

(მაჭავარიანი,2007:87)

სამშობლოზე მოფიქრალი პოეტი გულგრილად ვერ უყურებდა, თუ როგორ ნადგურდებოდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, თვალზე ცრემლმოწოლილი მწარედ გოდებდა:

„როდესაც ვხედავ, _
დამხობილს პირქვე, _
სამშობლოს ჩემსას, _
ღვთისმშობლის წილხვედრს, _
ხე უნდა ვიყვე, -
რომ არ ავტირდე?!
რომ არ ავტირდე.“

(მაჭავარიანი, 1973:17)

პოეტისთვის ღორებული და მოსაფრთხილებელია ქართული ტრადიციები, ადაც-წესები, ამიტომ წუხს, რომ ირღვევა საუკუნეების მანძილზე მყარად დადებული წეს-კანონი:

„არ ჩაეყუდა თუ თონეში კაცი რაჭიდან,
თუ ვერ ვიყიდე ზესტაფონის ბაზარში სარცხი,
მე საქართველო ამისთანა მინდა რა ჭირად,
საქართველოში ამისთანა სიცოცხლე არ ღირს!“

(მაჭავარიანი, 1973:56)

მივიჩნიოთ. იგი ვერ ურიგდება მავნე ტრადიციებს. მას სწამს, რომ საქართველოში ვერ იღორძინებს მოდას აყოლილი უთავბოლობა, უტაქტობა, ადამიანის იერცვლილება, რომ ყველაფერი ისეთივე წმინდა უნდა იყოს, როგორც ჩვენი წარსულია, მთისა და ბარის ბუნებაა.

მუხრან მაჭავარიანი საქართველოს შვილია. მას თავდავიწყებით უყვარს ქართველი ხალხი და როგორც თავად ამბობს, წინაპართაგან ნაანდერძევი ეს წმინდა ტრადიცია მის გულში ჩაუქრობლად ანთია, ამიტომ წარგვიდგება იგი ამ ტრადიციების გამგრძელებლად და მათი ანდერძის თავდადებულ დამცველად. პოეტი ტკივილამდე განცდილი სიყვარულით ეფერება ერის მემკვიდრეობას, წარსულის მატერიალურ და სულიერი კულტურის საგანძურს. მას ვერც კი წარმოუდგენია საქართველო უსვეტიცხოვლოდ, უგელათოდ, უალავერდოდ.... ერთი სიტყვით უწარსულოდ:

„საქართველოა,
რა საქართველო?!
უსვეტიცხოვლოდ,
უგელათოდ,
უალავერდოდ?!“

(მაჭავარიანი, 2013:385)

მაღალი კულტურის ადამიანისათვის უმთავრესი სულიერი ღირებულებებია, მით უფრო მაშინ, თუ იგი პოეტია და იმ ერის შვილია, რომლის მრავალსაუკუნოვანი არსებობა და კულტურა სულიერებაზეა ორიენტირებული:

„ჩემია სამშობლო მაღალია!-

სხივია ვრცელი!...

უფალთან ახლოს,-

ამიტომაც,- უფროა ჩემი!“

(მაჭავარიანი,2013:289)

უფალთან ახლო მდგომ სამშობლოს აღმერთებს პოეტი და ეს თითქოს ყოველ ლექსში ძალუმად შეიგრძნობა:

„რაც კი ზარია შემკული საერთოდ სადმე,-

მადლი იმ ზართა შესწეოდეს ყველა ნაღდ ქართველს:

ჰყვაოდეს ქართლი,

იმერეთი, ფშავი, კახეთი!-

მე ვინაიდან მამულს ვაღმერთებ.“

(მაჭავარიანი, 2013:35)

თითქმის არ დარჩენილა საქართველოს ისტორიის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა თუ პიროვნება, რომელიც მუხრან მაჭავარიანის კალამს გამორჩენოდეს, ძალიან მდიდარია ეროვნულ სახე-სახელთა მუხრანისეული გალერეა. მისი ხმა ყოველთვის ომახიანად ჟღერს. უკომპრომისოა მისი ოპოზიცია სამშობლოსადმი არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი გამოვლინებისას, თუმცა სიმკაცრესთან ვაუკაცურ რიხთან ერთად ზოგჯერ საოცრად ფაქიზი, შეიძლება ითქვას, სინაზით სავსეა მისი სიყვარული მამულის მიმართ:

„საქართელო ჩემო -

დიდედაო და შვილო,

შენი კეთილი გული

ნუ მომიშალოს ღმერთმა:

-ბიჭო, არ შემარცხვინო,

-ბიჭო, არ შემარცხვინო!

კვლავაც მრავალჯერ გეთქვას,

გეთქვას, გეთქვას და გეთქვას.“

(მაჭავარიანი, 2013:306)

სამშობლოს სიყვარული, მასზე ფიქრი და ზრუნვა პოეტისათვის უმაღლესი ღირებულებაცაა და მარადიულიც:

„მხოლოდ და მხოლოდ არ წავა ჯავრი
(ერთდროს რომ ენთო,- იმ ცეცხლის ავლი),
მამულზე ჯავრი,-
ქართული ჯავრი,-
მას არ გაუვა არასდროს ყავლი!“

(მაჭავარიანი, 2013:35)

ბუნებრივია, საქართველოს ძნელბედობის დროს, მუხრან მაჭავარიანი მხოლოდ პოეტად ვერ დარჩებოდა. მან მომავალ თაობას გადაუჩინა ეროვნული თვითშეგნება. რა სიამაყით ჟღერს პოეტის უკვდავი სტრიქონები:

„ ანდუყაფარო, ლიპარიტო,
დარნო მთათანო,
ბაგრატოვანთა ბანოვანის
ტანო-ტატანო,
ბიჭო სესეო,
თოთიკანთ ქალო მელანო,
ვაჟას არწივო,
შოთას ვეფხვო,
ტატოს მერანო;
ბზიფო,
ენგურო,
ალაზანო,
მტკვარო,
რიონო,
აგერ ახლახანს გარდაცვლილო გალაკტიონო;
ქინძმარაულო,

ტიბაანო,

ღვინოვ კახურო;

გამოსრულილო ხევსურეთით ლექსო ხალხურო,

დიდო კოლხეთო,

დიდო ქართლო,-

დიდო შამქორო,-

ვერ დამადუმონ,

ვერ დამძალონ-

თუნდაც ჩამქოლონ...

ვერ შეაჩერეს ვერაფერი სიტყვა გაბედულს-

ფრთები მასხია

თქვენგნით...

მხოლო თქვენგნით

რამეთუ."

(მაჭვარიანი, 2013:193)

მუხრან მაჭავარინაის ლექსების უმრავლესობა სწორედ ამგვარია, მძაფრი და შთამბეჭავი. თავის საუკეთესო ლექსებში მუხრან მაჭავარიანი მოჩანს, როგორც მაღალი გემოვნების მქონე ჭეშმარიტი მხატვარი:

„ტყე როა მწვანე,

ცა როა ლურჯი,

ზღვა როა წყნარი,

მზე როა გულში,-

ავხედეავ ზეცას-

ხმა მესმის მისი.

დავხედავ მიწას-

ხმა მესიმის მისი.

ქცეულა მიწად, ქცეულა ზეცად -

საქართველოში გაჩენის ღირსი,

საქართველოში დამარხვის ღირსი.“

(მაჭავარიანი, 2013:248)

ან კიდევ:

„სულს მივცემ ჩემსას

მე იმას მარტო!-

ვინც საქართველოს

ესწრაფვის ქართულს!-

არა ცრუქართულს!

ნამდვილად ქართულს!-

სიტყვითურთ ქართულს!-

საქმითურთ ქართულს!

სულს მივცემ ჩემსას

მე იმას მარტო!-

რომელასც ვატყობ!-

კოჭებში ვატყობ!-

არის ყველაფრით-

ყოველმხრივ სანდო

და საქართველოს

იმნაირს ნატრობს,-

ნატრობს როგორსაც

ქართველი მარტო!“

(მაჭავარიანი, 2013:286)

პოეტს ერის ღირსების გრძნობა უმაღლეს რანგში აქვს აყვანილი. მან კარგად უწყის რომ საქართველო თავის მატერიალური და სულიერი კულტურული საგანძურით არავის ჩამოუვარდება, ამიტომ სხვისი მისაბაძიც არაფერი არა აქვს:

„ მე- პატრონმა

მე პატრონმა

ამისთანა ზღვის

მე-პატრონმა

მე-პატრონმა

ამისთანა ცის,-

თუ ღმერთი გწამს.-

თუ კაცი ხარ-

სხავს მივბაძო?!

ვის?!“

(მაჭავარიანი, 1979:27)

სწორედ ამიტომ მიაჩნია პოეტს:

„ვინც გლეხია,

ვინც მუშაა,

ვინც სიმართლის მძებნელია, -

საქართველო არ უყვარდეს, - ყოვლად შეუძლებელია!“

(მაჭავარიანი, 1999:52)

ქართველი კაცის ძირითადი საზრუნავი ყოველთვის სამშობლო იყო. მუხრან მაჭავარიანიც შეგვაგონებს, რომ ქვეყანაზე მასზე ძვირფასი არ არის რა:

„არფერია, მე მგონი, ახლაც,-

ღირსი დადგომის მამულზე მაღლა!“

(მაჭავარიანი,2007:7)

პოეტს სწამს საქართველოს ნათელი მომავალი. იგი გვარწმუნებს, რომ ,,კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი“ და რომ მის წინსვლას, ერთიანობას, დედაენის უკვდავებას ახალი შოთა, ახალი ვაჟა... უმღერებენ:

„არ შეიძლება

არ გიმღეროს ვინმემ იმ ძალით

როგორც გიმღერა

დიდმა შოთამ

დიდმა ვაჟამ

რადგან არასდროს არ ყოფილა შენი მიზანი-

დიდი იმდენად,

რამდენადაც

არის ამჟამად...“

(მაჭავარიანი,2007:12)

პოეტს გამძაფრებული ჰქონდათ საკუთარი მეობის, ეროვნული თვითშეგნების, ქართული სისხლის განცდა. საკმარისია წაიკითხო ლექსი ,,ქართველი ამას იკადრებს?!- არა!“ და უმალ იგრძნობთ, როგორი დიდი რწმენა აქვს პოეტს თავისი ხალხის რაინდული თვისებების. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტი არ ჰკარგავს უკეთესი მერმისის იმედს:

„კიდევ უფრო კიდევ უფრო

იღორძინე საქართველოვ!

კიდევ უფრო ბევრი შვილი

გამოზარდე სასახელო,

კიდევ ერთი რუსთაველი,

კიდევ ერთხელ აამღერე;

შენც იხარე,

ჩვენც გვახარო,

გამხვნევდი და გაგვამხნეო!-

გევალება საქართველოვ!

შეგიძლია საქართველოვ!

გაგიმარჯოს საქართველო!“

(მაჭავარიანი, 1999:52)

ამრიგად, მუხრან მაჭავარიანი პოეზიის ძირითად თემად სამშობლოს სიყვარული და მისდამი უანგარო სამსახური ქცეულა.

თავი III

ისტორიული წარსული მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში

(„ვინც იყო!- იგი,რომ არა! არც იქნებოდა,- რაც არი!)

მუდამ უნდა გვახსოვდეს ერის სულიერი მამის - ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ერის პირქვე დამხობა, გათახსიერება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა... წარსული - მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო- მომავლისა“. არ უნდა დაგვავიწყდეს ,,რანი ვიყავით“და რანი ვიქნებით, სწორედ ამ რწმენითაა გამსჭვალული მუხრან მაჭავარიანის პოეზიაა, მისთვის ისტორია და წარსული სინონიმებია, იგი ამბობს:

„ყველაზე უწინ
ვინც გასხლა ვაზი,
ქვა სხვაზე უწინ
ვინც დასვა ქვაზე,
ვინც სხვაზე უწინ
იხმარა ინა,
ქრისტრეს შობამდე
ვინც შეჰქმნა წიგნი,-
სისხლად მიმოდის დღეს ჩემში იგი.“

(მუხრან მაჭავარიანი,1973:171)

პოეტმა იცის, რომ ქვეყნის აწმყოცა და მომავალიც სამშობლოსთვის თავდადებულ მამულიშვილთა ნამოღვაწარზე დგას:

„კარგს, რომ გვიქადის მომავალს,
შენი ბეჯითი გარჯანი!-
ვინც იყო!- იგი რომ არა!
არც იქნებოდა,- რაც არი!
ფარნავაზ მეფე რომ არა,-
ვინც ჩვენი სრულყო ანბანი.
შოთა რუსთველი რომ არა,-
ვინც არი ჩვენი ლამპარი.
მოციქულთ სწორი, რომ არა,-
ოთხგან აღმართა მან ჯვარი.

მღვდელი თევდორე რომ არა,-

(მტერმა აკუწა საწყალი).

ორბელიანი, რომ არა,-

საქართველოსთვის დამწვარი.

პატარა კახი, რომ არა!

ყველა მომხდურის თავზარი.

მეფე დიმიტრი, რომ არა!

ძმანი რომ არა!-

ცხრა ძმანი!...

მოკლედ: სისხლის ღვრა რომ არა!-

არ იქნებოდა,- რაც არი!...“

(მუხრან მაჭავარიანი,2013:114)

მუხრან მაჭავარიანისათვის სამშობლო მარტო მხარეებით და კილომეტრებით კი არ განიზომება და მთლიანდება, არამედ დროითაც, - თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. წარსულიცა და აწმყოც მხოლოდ მომავლისათვის ზრუნვა და შემზადებაა:

„ჯერ კიდევ როდის

გვიხდიდნენ ბოდიშს!

ჯერ კიდევ როდის

ფოთობდა ფოთი!

იწერებოდი

,,წამებავ წმინდისა შუშანიკისა!“

-ნუღარ იკითხავ!

ჯერ კიდევ როდის

მღეროდა შოთა!

ჯერ კიდევ როდის

გაიძახოდა:

,,-სჯობს სიცოცხლესა!..“

ჯერ კიდევ როდის.“

(მაჭავარიანი, 2013:196)

მუხრან მაჭავარიანს თავისი ლირიკული ქმნილებების გმირებად ხშირად გამოჰყავს ისტორიული პირები. მათი მამულიშვილური საქმეების აქცენტირებით პოეტი ქმნის სამშობლოს მსახურების ნათელ მაგალითს, ნიმუშს. სწორედ ამ შეგნებითაა ნაკარნახევი ლექსებში ფარნავაზ მეფის, ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის , სულხან-საბას და სხვათა შემოყვანა.

ფარნავაზ მეფის მიერ მღვიმეში განძის პოვნას საოცარი სათაური მოუძებნა ,, დიღმის წვიმა“. ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ლეონტი მროველის ციტატა ლირიკოსი ცხადადაღწერს და იხსენებს იმ ფაქტს, როდესაც ფარნავაზ მეფემ განძი იპოვა. ამ განძის პოვნამ დაუდო დასაბამი ერთიანი სახელმწიფოს შექმნას.

„განძი რომ არა დიღმისა,
ვერაფრით ქართლს ვერ იხსნიდა.“

ლექსში განძის პოვნა დაკავშირებულია ოცდასამი საუკუნის წვიმასთან:

„ოცდასამი საუკუნის წვიმა
ვერ დაწონის
ვერც ცხადში,
ვერც ძილად,-
ოცდასამის საუკუნის წინათ
მოსულ დიღმის წვიმას.“

(მუხრან მაჭავარიანი, 2013:7)

ქვეყნის ისტორიულმა წარსულმა დიდი კვალი დაამჩნია მუხრან მაჭავარიანის პოეტურ სულს, ,,სულს მივცემ ჩემსას მე იმას მარტო, ვინც საქართველოს ესწრაფვის...“ მისთვის რუსთაველი, თამარი, სულხან-საბა ორბელიანი, არიან წარსულის ნაკვალები, რომელზედაც იდგა საქართველო. პოეტს საამაყოდ მიაჩნია, რომ სწორედ ამ მისაბაძი მამულიშვილების სისხლი გვიდუღს ძარღვებში, საუკუნეების მიღმიდან გვესმის მათი გულისცემა, გვაქვს პატივი მათი ნაალერსალი ენით ვილაპარაკოთ:

ვითარცა ღვინო -
ქვევრიდან ხაპში,

ხაპიდან დოქში,

დოქიდან ჯამში

ქართული სისხლი,

ქართული სული,

ქართული სიტყვა,

ქართული გული -

გადადიოდა კაციდან კაცში...

გადადიოდა,

გადადიოდა,

გადადიოდა,

და მოდიოდა,

და მოდიოდა,

და მოდიოდა,

ვითარცა მტკვარი.

გზადაგზა სვამდნენ,

ამღვრევდნენ, ღვრიდნენ,

უღმერთოდ ყრვნიდნენ,

უგულოდ ყიდდნენ

და...

მიუხედავად ამისა, -

მაინც -

გამოიარა რუსთველის გული,

გამოიარა ვახტანგის გული,

გამოიარა თამარის გული,

გამოიარა სულხანის გული...“

(მაჭავარიანი, 2007: 89)

როგორც ვხედავთ, პოეტი ქართული გენის საუკუნოებრივ მდინარებაში გვიჩვენებს იმ ქარტეხილებს, რომელიც ჩვენს ქვეყანას გამოუვლია და რარიგ საამაყოა, რომ დღეს

„შოთაის ნაქონი სისხხლით,
და დღეს -
ვახტანგის ნაქონი სისიხლით ...
და დღეს -
სულხანის ნაქონი სისიხლით ...
თბილისის ფართო ქუჩებში დადაის :
ლეილა,
ლონდა,
ნათია,
ნანი,
ელისო,
ვაჟა,
გიორგი,
გივი
და....
იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!. "

(მუხრან მაჭავარიანი, 2007:157)

გურამ გვერწითელის გულახდილი აღიარებით, „მე არ მეგულება უფრო უკეთესი ლექსი, ვიდრე მუხრანის ,,ვითარცა მტკვარია", მიმართული ახალგაზრდობისადმი".

ისტორიულ თემებზე დაწერილი ლექსი: „ვახტანგ მეფის ნანადირევი".

„ნედლი კვალი დარჩენია ირმის ნუკრის ფეხებს,-
ცეროდენა ნატერფალებს დააჩერდა მეფე...

დააჩერდა... გაეღიმა... გადახედა იქ მყოფთ,-

ისე, თითქოს ეს იმათი ნატერფალი იყო.

ვახტანგ ნადირს არ გასდევნის, არ გასდევნის, არა!

თუ ნადირის ნატერფალი მეფის ტერფს არ ტოლებს,

და სტუმარი, იმერელი, ეუბნება ვახტანგს:

- ვერაფერი მოგვიკლავს და...

ეგ არი, ბატონო!...

გაიარეს, გაიარეს... ტირიფებთან შედგნენ.

თითონ?! - თითონ ტირიფები წყლის ნაპირზე იდგნენ.

-ნადირითა მდინარეა ეს ტყე!

მაგრამ, მაგრამ ...

ფრინველითა უბადლოა ის ტყე!

მღვრიე წყალი გადალახეს, - შეყვნენ რიყე-რიყე..

(მეფე იყო და მეფესთან მარეკები იყვნენ).

მიდიოდნენ! მიდიოდნენ! მეფე მიდის პირველიო

აუფრინდათ! აუფრინდათ! ხოხობია, ხოხობია !

ხომ ყოფილა, ხომ ყოფილა ამ ტყეშიაც ფრინველიო!

ხოხობს ქარი მიუსიეს, მიუსიეს, მიუსიეს!-

ამ უღრან ტყეს გადასცილდნენ, შეეფარნენ იმ უსიერს...

დაედევნენ..... დაედევნენ... და...

ჩავიდნენ თბილისში.“

(მაჭავარიანი, 2013:54)

ავტორმა ამ ნაწარმოებს, როგორც ცნობილია, პოემა უწოდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებების ჟანრული ბუნება იმდენად სპეციპიკურია, მას მხოლოდ პირობითად თუ მივიჩნევ პოემად.

ლირიკოსმა სცადა ლეგენდაზე დაყრდნობით, ეჩვენებინა ვახტანგ გორგასლის სახე და მოეთხრო თბილისის დაარსების შესახებ. პოემა ,,ქართლის ცხოვრების“ მეტად საინტერესო ეპიზოდს ასახავს. ავტორი მხოლოდ ფრაგმენტულად, სქემატური

მინიშნებით გვიამბობს ლეგენდის შინაარსზე. თუ თბილისის დაარსების ლეგენდას და ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობას ზოგადად არ ვიცნობთ, ამ მინიშნებიდან და ნახევრად გაშიფრული აზრობრივი დეტალებიდან ზოგიერთი რამ ბოლომდე ხელმისაწვდომი ვერ იქნება.

როგორც პოემის სათაური მეტყველებს, ნაწარმოებში მოთხრობილია ვახტანგ გორგასალისა და თბილისის დაარსება - განმტკიცების ისტორიული ამბავი, მაგრამ პოემაში ამ თვალსაზრისით შეუსაბამოაა სათაურსა და შინაარსს შორის. ნაწარმოების თემად აღებული მოვლენები მხოლოდ ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი და ეპიკური მაშტაბურობისა და ყოვლისმომცვლელობის ფარგლებში ვერ თავსდება.

მოკლე და ირონიულ-ისტორიული პროლოგის შემდეგ იწყება უშუალოდ ამბის თხრობა. რა უნდა ითქვას ნაწარმოებში აღწერილი ეპოქის ისტორიულობის შესახებ. ქართულ კრიტიკაში გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ პოემა ,,ვახტანგი“ ტრადიციული გაგებით ისტორიულ თემაზე შექმნილი ნაწარმოები არაა. რევაზ მიშველაძის შეხედულებით, იგი ისტორიული პოემის ჟანრს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება მივაკუთნოთ. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მასში პოტმა ისტორიული მოვლენებისა და პერსონაჟების აღწერა-დახასიათება მოგვცა არა ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით, არამედ ფოლკლორულ-ლეგენდარული მასლების გამოყენებით. შინაარსობრივადაც და რიტმულ-ინტონაციურადაც პოემის კავშირი ფოლკლორულ წყაროებთან მრავალი კონკრეტული დეტალით საბუთდება, მაგრამ ამ კავშირს პოეტი ყო„ველთვის განამტკიცებს და აღბეჭდავს ხოლმე მკაფიოდ ინდივიდუალური ნიშან-თვისებით:

„ვახტანგმა გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი;
ვერ მოყკლა ფური,
ვერც ხარი,
- ვაზირი რას იტყვიანო!“

(მაჭავარიანი, 2013:220)

ასე იწყება ნაწარმოებში ამბის თხრობა, ამბისა, რომლის დეტალური აღწერა კი არ აინტერესებს ავტორს, არამედ მოქმედების განვითარების მხოლოდ არსებითი და

მთავარი მომენტები. პოემა რვა პატარა თავისაგან შესდგება, ესენია: ,,ვახტანგმა წყალი ისურვა“, ,,სპილოები,“ ,,თავმომწონე მხედარი და სხვა“, ,,რაო-ვახტანგმა,-ვინ არის“, ,,ორბის ფრთა ეტყვის ძერას“, ,,უჯარმით კაცი აფრინეს“, და ,,ვითარცა მტკვარი“. სათაურებიდან ჩანს, რომ პოემის არქიტექტონიკა მოზაიკის პრნციპზეა აგებული. ზოგიერთ თავის არავითარი კავშირი არაქვს ვახტანგ მეფესთან, მაგრამ ის მაინც გადმოსცემს , ეპოქას, სულს იმ დღეებისას.

ძლიერია ,,ვახტანგში“ პატრიოტული სულისკვეთება - ვახტანგ გორგასლის სული და სახელი უკვალოდ არ დაიკარგება, ამბობს პოეტი მიუხედავად დროისა.

„გამოიარა თამარის გული,
გამოიარა სულხანის გული,
და დღეს -
შოთაის ნაქონი სისხლით.
და დღეს - ვახტანგის ნაქონი სისიხლით
და დღეს - სულხანის ნაქონის სისიხლით
თბილისის ფართო ქუჩებში დადის ...“

(მაჭავარიანი, 2013:220)

მუხრან მაჭავარიანი თავის პოეტურ ქარაგმაში ყოველთვის იხსენიებდა აღმაშენებელს. დავით აღმაშენებლმა თანამედროვეთა და შთამომავლების დიდი ყურადღება მიიქცია. ნაწარმოებები, რომელიც საქართველოს ძლევამოსილი მეფისადმია მიძღვნილი, ახლაც ძალზე აქტუალურია. პოეტი იცის, რომ სწორედ სისხლმა, ბრძოლამ, მახვილმა, ასპინძამ, დიდგორმა, მარაბდამ და დიდი დავით აღმაშენებელის სისსხლმა მოიყვანა საქართველო დღევანდელ დღემდე:

„ვინც იყო!- იგი, რომ არა!
არც იქნებოდა,-რაც არი!“

(მაჭავარიანი,2007:89)

დავით აღმაშენებელი საქართველოს პირველი მეფეა, რომელმაც ქვეყანა გააერთიანა ნიკოფსიიდან დარუბამდამდე, ოვსეთიდან არაგაწამდე:

„მეფეა კახთა, სომეხთა, რანთა

აფხაზთა, სვანთა და ოდიშართა.“

დავით აღმაშენებელმა წიგნისადმი სიყვარული საყოველთაოდ იყო ცნობილი. ლაშქრობაში თუ ხანგრძლივი მოგზაურობისას მეფეს ჯორებსა და აქლემებზე აკიდებული მცირე ბიბლიოთეკა დაჰქონდა. მოსვენების წუთებში ყოველთვის წიგნს კითხულობდა. დავითის მემატიანე ერთ საინტერესო დეტალს აღნიშნავს: ყოველი წიგნის წაკითხვის შემდეგ მეფეს წესად ჰქონია ბოლო ფურცელზე ნიშნის დასმა. მემატიანეს დაუთვლია და აღმოუჩენია, რომ ერთ წელიწადში ,,წიგნი სამოციქულო“ დავითს ოცდაოთხჯერ წაუკითხავს.

„ხელში გელათი უჭირავს ერთში,

წიგნი უჭირავს მეორე ხელში.“

მისმა დაუღალავმა, მუხლჩაუხრელმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, საქართველო გადააქცია ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანად ახლო აღმოსავლეთში, რის გამოც მას ,,აღმაშენებელი“ უწოდეს:

„ტანზე ქრისტესი აცვაია კვართი,

გადაჰყავს თევზნი რიონში მტკვართით.

მზეია კახთა, მთიები- რანთა,

ლიფლიფი- სვანთა და ოდიშართა.“

ის იყო მესიის მახვილი ანუ ქრისტეს მხედარი, რომელის მარადჟამს იბრძოდა ქართველი ხალხისთვის, ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ დავით აღმაშენებელი გახდა პოეტური ხედვის წყარო მუხრან მაჭავარიანის პოეზიისთვის, მას არაერთხელ აღუნიშნავს დიდი დამსახურება დიდებული მეფისა ქართველი ერის წინაშე, 1972 წელს მას მიუძღვნა ლექსი ,,ღმერთკაცი“, სადაც კარგადაა გამოხატული, თუ რა დაამსახურებაა აქვს მეფეს ქართველთა წინაშე.

„მხარზე ვებაა გაუდევს ლოდი

და მოდის,-თითქოს უტვირთოდ მოდის!

მეფენი შვიდნი, ვინც პურად დასხნა,

საზღვართა გარე ვინც მტერნი გასხნა,

იმერთა წყალთა ვინც თევზნი შთასხნა,

ვინც ვერ ისვენებს საფლავში ახლა!...“

(მაჭავარიანი, 1973:47)

მუხრანის პოეზიაში დანთებული სამშობლოს სიყვარული გადამდებია. მისი პოეზია საქართველოს ისტორიული წარსულის ტკივილიანი უკვდავებაა, რომელიც მარად ქმედითი ოპტიმიზმით გვამახსოვრებს თავს: ,,გულს ნუ გაიტეხ, მუხა კვლავაც შეიმოსება!“ მუხრან მაჭავრიანს ყოველთვის სურდა, ის რაც თავის პატრიოტ მამულშვილბს სურდათ...

„თუ მსურდეს სხვა, რამ-

ღმერთმა დამლახვროს!

მსურს მხოლოდ იგი, -

რაც საბას სურდა:

კაცმა ქართველმა,-

მსურს,-

ქართულად ილაპარაკოს

და საქართველოს ,-

საქართველო, მსურს

ერქვას მუდამ!

ღმერთმა ქართული -

აწ და მარადის , -

აკურთხოს მიწა!

სხვის ჩარხმა მისმა

აწი მაინც იბრუნოს წაღმა!-

და ყველას ჰქვია ქართველი,-

მსურს მსურდეს იგი,

რაც სურდა საბას!“

(მაჭავარიანი, 2007:78)

პოეტი ყურადღებას ამახვილებს რომ სულხანისათვის საქართველოა ,,წვიმაც, თოვლიც, ყინვაც“... მისთვის ორბელიანის დიპლომატიური მისია სამშობლოსა და ისტორიის საშვილიშვილო გზაა და სწორედ ამ გზას სჭირდება გაგძელება და ამ გზის გამგძელებლები „სულხანის ნაქონი სისხლით“, რა თქმა უნდა, უნდა იყოს შთამომავლობაა.

სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა კი, იმ ძნელბედობის უაღრესად რთული საქმე გახლდათ. ჩვენმა დიდმა მწერლმა უამრავი განსაცდელი გამოიარა. უკვე ასაკიანს, უამრავი გაჭირვების, ძალმომრეობის, ძარცვისა და შეურაცყოფის გადატანა მოუწია სანამ დაბრუნდებოდა სამშობლოში, თანდაც გზაში გაცივდა... სამშობლოშიც ბევრი პრობლემა შეექმნა. დადიოდა ევროპაში მოხუცი, დაღლილი, მაგრამ სამშობლოსათვის დაუღალავი ორბელიანი, ასაკიანი, მაგრამ საქართველოსათვის ჯიუტად მუხლმაგარი მამულიშვილი:

„საბა საქართველომ სად არ ატარა,
სად არ ატარა,
სად არა, სად არა!..
გვითხრა:
ქვეყნები ნახა რა და რა,
მაგრამ საშველი ვერ ნახა რა და რა...“

(მაჭავარიანი, 1973:183)

სულხან-საბა ორბელიანი დიპლომატიურ დავალებას ასრულებდა, ვახტანგ მეექვსის დავალებით გაემგზავრა ევროპაში პოლიტიკური დახმარების მისაღებად. ეახლა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტეს და რომის პაპს კლიმენტი მეთერთმეტეს, მისი დიპლომატიური მისია მარცხით დამთავრდა.

„ორი ცრემლიდან საქართველოს გაჰყურებს საბა.
ვერ დაუნახავს დღეს უცრემლოდ ქართველსა ქართლი.
-ორბელიამა თვალისჩინი დაჰკარგა, ალბათ!
-პირიქით!-

ერთობ კარგად ხედავს და მიტომ ტირის.
მამულის სისხლით გააჯერეს იმდენად მტრებმა,
წვიმას ვერ იტანს...
დროდადრო ისევ წვეთავს საბას წვერიდან,- ცრემლი,
თითქოს თოვლივით თეთრი წვერი თოვლივით დნება."

(მაჭავრაიანი, 1973:220)

მშობელი ხალხისათვის თავდადებული შვილი დადიოდა და ქრისტიანული ქვეყნის გადარჩენას სთხოვდა გაზულუქებულ ხელმწიფეებს. ხავს ეჭიდებოდა საქართველო, ხავს ეჭიდებოდა მეფე, ხავს ეჭიდებოდა ორბელიანი. ასეთმა ისტორიულმა ნაბიჯმა კიდევ ერთხელ დააწერინა ლექსი მუხრან მაჭავრაიანს. იგი დეტალურად აღწერს იმ შედეგს, რაც მოხვდა ლუი მეთოთხმეტესთან შეხვედრისას. მკითხველი ხელჯოხაინი საბას სახეს თითქმის ფიზიკური ტკივილით აღიქვამს, საბა, დარწმუნდა, რომ საფრანგეთის მეფეს - ლუდოვიკოს ვახტანგ მეექვსე სულაც არ ენაღვლებოდა. ლექსის უმთავრესი მიზანსწრაფვაა, ემოციური შთამბეჭდაობით განგვაცდევინოს დიდი მამულიშვილის იმედგაცრუების სიმწარე: ,,საფრანგეთს ვთხოვოთ გვიშველოს, - სასაცილოა, შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია. ამ სტრიქონების ქვეტექსტმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ქართული ანდაზის სიბრძნე: ,,სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო", მაგრამ ლექსის ამ ნაღვლიან განწყობილებას საბოოლოდ მაინც ოპტიმისტური ფინალი ძლევს, რის შედეგადაც მკითხველის გული მუმლდახვეული მუხის კვლავინდებური გაფოთვლის იმედით ნათდება. სწორედ, ამის დასტურია საბას მიერ ტყვეობიდან გამოხსნილი პატარა ქართველი ბიჭი, რომელიც სულხანის სულში ჩამოქუფრულ უკან წყვდიადს მომავლის რწმენით ავსებს:

„ვით ეს ყმაწვილი-
საქართველოსაც ასე მცირეა,
საქართველოსაც, ვით ამ
ყმაწვილს ასე ჰყიდიან...
მხარდამხარ საბას ის პაწია
ბიჭი მოსდევდა...

-მოგწყინდა განა უნაყოფოდ,

ელჩო, ყიალი?!-

გულს ნუ გაიტეხ!- მუხა

კვლავაც შეიმოსება.“

მუხრან მაჭავარიანი პოეტური მზერა ყოველთვის მიპყრობილია დიდი ტკივილების შემცვლელი სათქმელისაკენ.

„ვერ დამადუმონ,

ვერ დამძალონ-

თუნდა ჩამქოლონ,...

ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს-

ფრთები მასხია

თქვენგნით...

მხოლოდ თქვნგნით რამეთუ.“

(მაჭავარიანი, 2004:18)

აი ის ფრთები, რომელიც სულხან-საბას და მუხრან მაჭავარიანს აკავშირებთ ერთმანეთთან. სიტყვას და საქმეს ერთი ფასი აქვს, მათთვის სამშობლოს ,,ისტორიული ცხოვრება“ უპირველესთაგანია.

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში არა ერთხელ შეხვდებით ერეკლე მეფეს, როგორც სათაყვანოს, ღირსეულს. მისთვის ერეკლე მამულისათვის თავგანწირულია. ერთსტროფიანი ლექსის სათაური ასე იკითხება: ,,ჩემი ეპიტაფია, წარწერა საფლავის ქვის ორივე მხარეზე (ზედაზეც, ქვედაზეც), მკვდარმაც რომ წაიკითხოს და ცოცხალმაც.“

„შენი არ იყოს, - ჩემო ირაკლი!

ვერ ვიდევგმირე!- ვერ ვიწინაპრე!

ჭირმა ჩემმა და ჩემმა სილაღემ!

მამულმა შენებრ შემიწირა მე.“

(მაჭავარიანი, 2013:68)

მუხრან მაჭავარიანის ლირიკაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლს, რომელიც

მამულიშვილური თვალთახედვით წარმოაჩენს ჩვენი ერის სახელოვანი შვილების ეროვნულ მისწრაფებებსა და იმ პერიოდის ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის უმოქმედობასაც. პოეტი მძაფრად განგვაცდევინებს ეროვნული თავისუფლების დაკარგვის შემდეგ ქვეყანაში დატრიალებულ ტრაგედიას. ეს ლექსები ერის იმჟამინდელ წინამძღოლთა უმოქმედობისა და გულგრილობის სამხილებლად გამოტანილი უკომპრომისო განაჩენია, მაგრამ მათი ეროვნული პასიურობის მხილებით ავტორმა, უპირველეს ყოვლისა, თავისი დროის მამულიშვილთა მოქალაქეობრივ- პატრიოტული უმოქმედობა ამხილა. ეროვნული პასიურობისა და უმოქმედობის განმაპირობებელ უმთავრეს მიზეზად მუხრან მაჭავრაიანი უწიანარეს ყოვლისა, მამულისშვილურ სიყვარულზე მაღლა პიროვნულ ზრახვათა დაყენებას თვლის. ამ ციკლში პირველი ლექსია ,,ფიქრი ელიზბარ ერისთავისა გზად შინდისიდან შინ რომ ბრუნდებოდა ეტლით“:

„აღარც საბაა!
აღარც,- ბესიკი!
აღარც,- არჩილი!
აღარც,- ვახტანგი!
არადა ისევ დგას დღის წესრიგში
ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი!“

(მაჭავარიანი, 2013:352)

ლექსის გმირი შინდისიდან შინ დაბრუნდა. დინამიკური და მოძრავია მისი ფიქრიც. არასტერეოტიპულია ლექსის გრაფიკაც. აღარ არიან საბა, ბესიკი, არჩილი, რის გამოც წუხს იგი. ორჯერ არის გამოყენებული უარყოფითი ნაცვალსახელი ,, აღარც“. ოთხი ისტორიული პიროვნებისადმი ხსენება მათ ასპარეზზე გვახსენებს და მათ ღვაწლზე ჩაგვაფიქრებს. სათქმელით ტყდება სიტყვებით და ყოველი ახალი ,, ნამტვრევი“ახალ ფუნქციას იძენს, ახლებურად წარმოგვიდგენს გარდასულ გმირებს. თითქოს ვხედავთ საბა-სულხანს, ბესიკ გაბაშვილს, რომელსაც ძვალშესალაგი დაუკარგა დრომ, ვხედავ არჩილ მეფეს, ,,საქართველოს ზნეობანის“ ავტორს, ემიგრაციაში მყოფ ვახტანგ მეევსის. ლექსში ამ პიროვნებათა გაელვებანი ახსნებს მკითხველს, რომ ისევ

სამშობლოს ბედი აწუხებთ გმირებს. თითქოს დრო არც დაძრულა წინ, არც ისტორიული გამოცდილება შეგვძენია, რომ სწორი დასკვნები ვაკეთოთ და შეცდომები აღარ გავიმეოროთ. ლექსის ქსოვილში ორი ახალი პერსონაჟი შემოდის: ორმოში ჩაგდებული დავით გურამიშვილის სასოწარკვეთილი გოდება მოისმა და ქართლის ბედზე მარადიულად ჩაფიქრებული ნიკოლოზ ბარათაშვილის სილუეტიც გამოკრთება. რატომ დგას ისევ დღის წესრიგში ,,ქართლის ჭირი"და ,,ბედი ქართლისა" - ეს კითხვები, პოეტის აზრით, არ უნდა იყოს ძნელად აღსასრულებელი", რადგან ქართულ მიწაზე, გაუთავებელი ომების ველზე, დახარჯულია ქართველთა სულიერი და ფიზიკური ენერგიის მარაგი. ამიტომაც გვმართებს დაფიქრება საკუთარი ისტორიის რაობაზე, ქვეყნის ბედთან პიროვნული თუ ისტორიული კავშირების დამოკიდებულებაზე. ლექსი ემსახურება მიზანს, შექმნას დროის განწყობა, კონკრეტულ დროში, თუ რა აწუხებს მთავარ გმირს.

ელიზბარ ერისთავის ფიქრისა და სათქმელის სიღრმე განსაზღვრავს ამ გმირის დამოკიდებულებას შეთქმულებისადმი. გვესმის ერისთავის მონოლოგი და არ ჩანს კონკრეტული მსმენელი, თუმცა იგულისხმება შეთქმულთა დასი. შეფიცულებს კარგად ესმით ერთმანეთის, მაგრამ სავალალოა, რომ მათ შორის მოღალატენიც აღმოჩდებიან.

შემდეგი ლექსი გახლავთ სიტყვა წარმოთქმული ჩაიზე, მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახში, სოლომონ რაზმაძის მიერ"

„როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე!?
(ქვეყანას ღვიძავს !
დღეს სძინავს ვისღა)?!
ჩვენი მზის სხივს და
ჩვენი ზვრის ყურძენს
როდემდე უნდა ვიღებდეთ სხვისგან?!
როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე!?
(ნეტავ, ჩვენში ყოველგვარი
რამ ჩაჰკლა რისკი)?!

და დუმილისაკენ,

ღრმა დუმილისაკენ

გვეჭიროს უნდა როდემდე კურსი?!“

(მაჭავარიანი, 2013:349)

,,როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?“-ეს ფრაზეოლოგიური სტროფი შეკითხვას ჩამოჰგავს და განგაშის შემცვლელია. მინიშნებაა იმაზე, რომ როდის უნდა შეიცვალოს მონური მდგომარეობა, რადგან მოთმონების ფიალა სავსეა და მოთმინების ძაფიც სადაცაა გაწყდება. არადა ქართველი კაცის ბუნება, გაძლიერების ნიჭი, იქ ახალი, სახელოვანი და მაშტაბური ისტორია იწერებოდა. ახლაც ნანატრი ღვიძილის დროა დამდგარი. სტიგმა ,,ქვეყანას ღვიძავს“, მიანიშნებს, რომ გადამწყვეტი მოქმედების ჟამია ჩამომდგარი. თავისუფლების სიმბოლო ,,მზის სხივი“ და ქართული ყოფიერების განმსაზღვრელი ,,ჩვენი ზვრის ყურძენი“, სხვის ხელშია, აქ უნდა მიეთითოს ფხიზელი პოეტური თვალის ღირსებაზე, რომელიც ქვეყანას და ხალხს არ მიუტევებს ეძინოს ყურზევე გამოუფხიზლბლად.

ლექსი ,,აღსარება თქმული სოლომონ დოდაშვილის მიერ თბილისის სიონში, აღდგომის წინა დღეს“ გახლავთ 1832 წლის სეთქმულების ციკლის ლექსი. აღსარება შენდობისა და მონანიებისთვის ითქმის! და გამოუთქმელის ნაკადიც მეტია ლექსში, ,,აღსარება თქმული სოლომონ დოდაშვილის მიერ თბილისის სიონში, აღდგომის წინა დღეს“- სულის ესთეტიკაა ლექსად დაწერილი. სამშობლოს სამსახურის ამ რანგში აყვანა ის ფენომენია, რომელმაც გაგვაძლებინა და გადაგვარჩინა. სულის არისტოკრატიზმი ამაზე შორს იშვიათად წავა. სოლომონ დოდაშვილი გახდათ მღვდვლის შვილი, რომელმაც განათლება პეტერბურგში მიიღო. პეტერბურგში გაიცნო და დაუახლოვდა თეიმურაზ, ბაგრატ და იოანე ბატონიშვილებს. იგი გახლდათ ერთ- ერთი ლიდერი ეროვნული შეთქმულებისა:

„ვარ დამნაშავე,-

რამეთუ ვცხოვრობ.

ვხედავ:

სულს ვღაფავ, თევზივით უხმოდ

თუ ვქმნი რაიმეს,-

იმიტომ მხოლოდ,-

სასჯელი მინდა შევიმსუბუქო.

ვარ დამნაშავე,-

რამეთუ ვითმენ ,-

რაც მესმის იმას

და რასაც ვხედავ.

დამნაშავეა სხვაც ბევრი, - ვით მე,-

თვითონაც არ იცის, თუმცაღა, ბევრმა.

ვარ დამნაშავე ,-

რამეთუ მიჭირს,

ძალიან მიჭირს დათმობა სოფლის!

არადა მიწას ,-

მამულის მიწას

სწყურია სისხლი!

არ ჰყოფნის ოფლი!“

(მაჭავარიანი, 2013:350)

32 წლის შეთქმულების ციკლის ერთ-ერთუ ლექსი ეკუთვნის ვახტანგ ორბელიანს ,,სიტყვა თქმული ვახტანგ ორბელიანის მიერ ორთაჭალაში, -ტივზე“:

„საქართველოსი მრავალჯერ თუმცა

სიკვდილის მოდგა ელჩი:

გუგულის კვერცხი

ესოდენ უხვად

ჯერ არ ყოფილა ჩვენში!

დოლაბი ბევრი ბრუნავდა თუმცა

ქართველი ხალხის თხემზე

გუგულის ბარტყი

ესოდენ ურცხვათ

არ მოქცეულა დღემდე!“

(მაჭავარიანი, 2013:346)

საქართველოს ბევრჯერ ,,სიკვდილის მოადგა ელჩი“, მაგრამ მომხდურნი, ვისაც სხვის ბუდეზე ეჭირა თვალი, ანუ ,,გუგულლის კვერცხი“, საიდანაც გამოიჩეკებოდნენ მდომნი და მსურველნი სხვისი მამულისა, ასე ურცხი და ურიცხვი არ ყოფილა არასდროს:

„მრავალჯერ თუმცა ვაჟკაცთა საფლავს
დედის ათოვდა თმანი,
სიტყვა ქართული
მძაფრად
არ სწყურებია დმანისს!“

(მაჭავარიანი, 2013:346)

ტაეპის დასწყისი სტრიქონები გლოვის მეტაფორაა! პოეტი თვითონაც დასტრიალებს ლექსის საფიქრალს. მან იცის, რომ დიდგორის შემდეგ, სიტყვითა და საქმით შემწეობა ყველაზე მეტად დმანისს სჭირდებოდა, რადგან დმანისი და თბილისი ისევ დაპყრობილი იყო! მათი გათავისუფლება საშური და გადაუდებელი იყო, რადგან საქართველო ასე უნდა გაერთიანებულიყო. ლექსის ბოლო ტაეპი იმასაც გვამცნობს, რომ 1795 წლის ისტორიული ღალატიც მოახლოებულია.

პოეტს არ ეეჭვება, რომ გუგული დაისაკუთრებს მერცხლის ბუდეს და სტრიქონში ,,ვიცი და ვიცი“ ზმნის გამეორება, უტყუარობის ნიშანითაა დაბეჭდილი და ამიტომაც

„ სირცხვილით იწვის
სირცხვილით იწვის
კრწანისის ველზე ცეცხლი.“

(მაჭავარიანი, 2013:346)

მიუხედავათ, იმისა რომ წარსულის ტკივილი ჩარჩენია პოეტს გულში, ამის მიუხედავად თავისი ომახიანი ხმით მაინც შემოგვძახებს ....

„დროზე და მალე ვიხილო უნდა,-
მე საქართველო, როგორიც მინდა.“

(მაჭავარიანი, 2013:257)

პოეტური ციკლის მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდის ის გარემოება, რომ მასში, ფაქტობრივად, ავტორმა თავისი დროის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთება გამოხატა. ასე, რომ ციკლისადმი ინტერესს, ჩემის აზრით, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს გარემოებაც განსაზღვრავს.

ამრიგად, არ დარჩენილა საქართველოს ისტორიის ღირშესანიშნავი მოვლენა და პიროვნება, რომლის შესახებაც პოეტს არ გაეკეთებინოს თავისი შეფასება. მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში მძაფრი ემოციური გამოხატულება ჰპოვეს ქართველი ხალხის ეროვნულ-პატრიოტულმა ტკივილებმა. იდეოლოგიური დიქტატის მკაცრი ზეწოლის წლებშიც კი პოეტი მოქალაქეობრივი გამბედაობით ამბობდა მართალ სიტყვას.

თავი IV

„ქართული მარტო ენაა?! ზღვა როა, იმოდენაა!“

მუხრან მაჭავარიანის პატრიოტული ლირიკის ერთ მძლავრ შენაკადს მშობლიური ენისადმი მიძღვნილი ლექსები წარმოადგენს. ქართული ენა პოეტისთვის წმინდა ღირებულებას წარმოადგენს, ამიტომაც ბუნებრივად აღიქმება მისი გულიდან ამოხეთქილი სიტყვები:

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთა რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა!
იმოდენაა!“

(მაჭავარიანი, 1990:88)

პოეტმა იცის, რომ ქართული ენის მოუფრთხილებლობა საბედისწერო ნაბიჯად შეიძლება ექცეთ ქართველებს, რადგან ,,ქართული ქართველთა რწმენაა!“

მუხრან მაჭავარიანის მთელი პოეზია ნათელი გამოხატულებაა მისივე მრწამსისა: „ქართულ ენას საქართველოსათვის განსაკუთრებული ისტორია აქვს და ამიტომ იგი განსაკუთრებულ მიდგომასაც მოითხოვს (მაჭავარიანი, 2007: 46).

„ენა ისეთი - ქართული როა!-
მიწაში კია, მაგრამ მიწაზე?!
ღირსი თვით შოთა ჰა და ჰა თუა
განხსნად საბელთა ხამლთა მისთასა!
ენა რომ არა, ისიც ასეთი,
როგორც იტყვიან: ყალმით ნახატი;
შენი თვით შოთა რასაც დაწერდა, -
ერთი იმასაც ვნახავდი!“

(მაჭავარიანი, 1990:153)

თუ რამდენად აქვს მუხრან მაჭავარიანს გააზრებულ-გასიგრძეგანებული ქართული ენის მნიშვნელობა და სიდიადე აკაკი შანიძისადმი მიძღვნილი წერილის „სამ ხმად გადახდილი მადლობა“ ამონარიდიც ცხადყოფს: „ქართული ენა, ერთ-ერთი უძველესი სმწერლობო ენაა. ამ ენაზე ლაპარაკობდა კაცი, რომელმაც დედამიწის ზურგზე პირველმა გამოადნო რკინა, მოიპოვა ოქრო და შესვა ღვინო. ეს არის ენა, რომლითაც წარმოითქვა: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა...“

ეს არის ენა, რომლის ყოველ სიტყვას დღემდე არ შეშრობია წინაპართა სისიხლი და ცრემლი. ენა, რომელზეც მოლაპარაკე კაცს - გადუღებელი ომებით გასავათებულს,- ალმაჭურად ეჩვენებოდა მშობლიური ანბანი:

„ონით ხრმალებრ მტერთა სრვიდა,
განსა ფარებრ იფარვიდა,
ინსა ჩუჩად დაირქმიდა,
ტარსა ჯაჭვად ჩაიცმიდა,
ენსა მშვიდად აიბმიდა,
სანით ისრად მებრძოლს სრვიდა!“

(მაჭავარიანი, 2007:38-39)

ერი, უპირველეს ყოვლისა, დედაა ენისა, ხოლო საუკეთესო მგოსანი, როგორც თვით ენა, ღვიძლი შვილია მისივე და არავინაც არ არის თავის მშობელთან ისე დაახლოებული, როგორც ის, ვისაც შეუთვისებია მშობლის სისხლი და ხორცი.

... არა მგონია შეედრებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მდინარე და ენა.

რითი ჰგავს ენა მდინარეს? იმითი, რომ რაც ერთხელ მდინარეს გემო და თვისება მიუღია, თუ ხელოვნურად არ მოსტაცე, არ წაართვი, იგი თავისთავად არ დაჰკარგავს: მიმდინარეობას იმ ჟამითა ამ ჟამამდე დაუდგომლად, მისი შეჩერება, დაგუბება, ცოტა ხნობით თუ შეიძლება, ხოლო სამუდამოდ არასოდეს... დიაღ, მოდის ენა მდინარესავით, მაგრამ თუ სათავეში, ე.ი. იქ, საიდანაც იბადება, არ დაშრა, ქვეით, ბოლოდგან მისი დაშრეტა ყოვლად შეუძლებელია და ძალაც მისი რომ სწორედ სათავეშია... ქართული ენა გუშინ მოგონილი ხომ არ არის! იგი ძალიან დიდი ხნისაა,

უკვე დამთავრებული, დახარებული ვაჟკაცია. რაც ხასიათი და თვისება დაჰყოლია, იგივე შერჩება საზოგადოდ, საუკუნედ. თუ ზოგიერთების ხელში იგი თავის ხასიათს ვერ იჩენს, ეს იმათი ბრალია, ვინც მას ამღვრევს უწმინდურებისა და ნაგავ-ნუგავის ჩაყრით, ვისაც ჰსურს ამ მდინარის წყალი იგემოს და დააფასოს იგი, ბოლოში, სადაც მღვრიე მოდის, კი არ ამოჰკრეფს, არამედ სათავეს მიმათავს. სათავე ენისა, ვგონებ, ყველამ კარგად იცის სად არის, ან რა არის... ეს სათავე ენის გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შენახულა შეუბღალავად, უმწიკვლოდ ქართული ენა“.

ქართული მწერლობის პირველსათავე და საფუძველთსაფუძველია ქართული ენა. ლიტერატურისათვის ენა მხოლოდ გამოხატვის საშუალება როდია. ენა აზროვნების და სახისმეტყველების (ანუ მხატვრული აზროვნების) განმსაზღვრელია.

,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ენის სულიერი ძალმომრეობის ქებათა ქებაა. ესაა რწმენის ძეგლი. ავტორს წამს, რომ მომავალში გამოვლინდებიან მთელი შესაძლებლობანი ქართული ენისა, რომ ქართული ენით სხვა ენებსაც მიენიჭრება მანამდე მიუწვდომელი სიბრძნე. ამგვარი რწმენა ყოველი დროის მწერალს უნდა ახლდეს. ამგვარი რწმენა დიდი სიკეთეა. ენის მუდმივი სრულყოფა, მწერლობის დიდი მისიაა.

ქართველმა პოეტებმა საუკუნეთა მძიმე სიღრმეებში გამოტანეს ენა ქართული, რადგან იოანე ზოსიმესი არ იყოს ,,ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

„კრთის ენა ქართული
მოსული
აქამდე!-
იარს
უსასრულოდ
რომელიც
ამიერ!“

(მაჭავარიანი, 2013:71)

ქართველი ხალხი ათასგვარ ძნელბედობას გაბედულად აღუდგან წინ და დედაენა შეინარჩუნა. მუხრან მაჭავარიანი არაერთი სტრიქონს უძღვნის ქართული ენის მნიშვნელობას, მის მდგიმარეობას, ქართული ენის, ქართველი ხალხისა და საქართველოს ბედის განუყოფლობას:

„მრავალჭირვარამგადანახადი,-
უნატიფესი ენა ქართული
.....
ვინ იცის,-
მტარვალს გადურჩა რამდენს!...
მაინც ჰყვდა რამდენი!...
მაინც შეძლო მოშლა აქამდე!
არ აღმოიფხრა!-
არ გაცამტვერდა!“

(მაჭავარიანი, 2013:59)

პოეტი შეახსენებს ქართველთ თავიანთი მოვალეობას და მოუწოდებს შეასრულონ იგი. ასეთი მოწოდებებით, ოპტიმისტური ჟღერადობით სრულდება ლექსი:

„დღეს ბედი მისი ჰკიდია ჩვენზე!-
ლარი და ხაზი ამას რად უნდა!...
ჩვენ უნდა შევძლოთ!-
და კიდეც შევძლებთ
კვლავ იდღეგრძელოს ენა ქართულმა!“

ქართველთა ეროვნული ცნობიერების შექმნაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართულ ანბანს, სწორედ ამიტომ მუხრან მაჭავარიანი მშობლიური ენის გაუფრთხილებლობას დანაშაულად მიიჩნევს:

„განა იმისთვის იბრძოდნენ
წარსულში მამა-პაპანი
დღეს შვილმა აღარ იცოდეს
სისხლით დაცული ანბანი?!“

(მაჭავარიანი, 2007:176)

ან კიდევ:

„ფარნავაზ მეფე რომ არა,
ვინც ჩვენი სრულყო ლამპარი
შოთა რუსთველი რომ არა,-
ვინც არი ჩვენი ლამპარი.“

(მაჭავარიანი, 2007:39)

,,ფარნავაზ მეფე და შოთა რუსთაველი“ ის ეროვნული სახეებია, რომელთა მეშვეობით მუხრან მაჭავარიანი ,,ქართული ენის“ აბსტრაქტულ, არასაგნობრივ საზრის ,,ანვითარებს“, ამ სახელებს ქართული ენის სიმბოლოებად აქცევს.

ფარნავაზის, როგორც სახე სიმბოლო, ქართული ენის სიძველის მინიშნებაა, სიძველე კი ის მახასიათებელია, რომელიც სხვა ნიშან-თვისებასთან ერთად, ქართული ენის სიამაყის გრძნობას უჩენს პოეტსაც და მის მკითხველსაც. ქართული ენის სრულყოფას და მარადიულობას კი შოთა რუსთაველი განასახიერებს, ვის სახელსაც მრავალი გზის მიმართავს მუხრან მაჭავარიანი თავის პოეტურ ქმნილებებში:

„მრავალჭირვარამგადანახადი,-
უნატიფესი ენა ქართული
ყველაზე კარგად რომლის ლაზათი
შოთას ლექსშია გამოხატული!?“

(მაჭავარიანი,2013:59)

ან კიდევ:

„ზღვიდან ამოდის ხოლმე ამ დროს
რუსთველის ლანდი,
ამოდის ლანდი-
ფერთა რამთა მახარობელი,
ამოდის ლანდი
ამოდის და....
და ეს ის ლანდია-

არის რომელიც,

ჭეშმარიტად არის რომელიც-

ქართული სიტყვის უკდავების

მძლე გარანტია!“

(მაჭავარიანი,1985:271)

პოეტი თავგამოდებით იცავდა მშობლიურ ენას; აღსანიშნავია, რომ მან 1978 წელს ,,უყოყმანოდ დაუჭირა მხარი აკაკი ბაქრაძის მოთხოვნას კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო ენად ჩაწერის თაობაზე“(რ.კვერენჩხილაძე). პოეტს ღრმად ქონდა გააზრებული, რომ „ბევრი რამაა საამაყო საქართველოში!- ძალიან ბევრი რამ, მაგრამ ყველაზე უფრო საამაყოა ქართული ანბანი! - საამაყო და თვალის ჩინივით მოსავლელი! უძველესია იგი და უმდიდრესი. მრავლისმეტყველია იგი და სიბრძნისმეტყველი ია, რატომაა იგი საამაყო.

მთელი ქართული ანბანი (ანიდან - ჰოემდე) თავს იწონებს საქართველოთი:

„ ნამყოთი მისითა,

აწმყოთი მისითა,

უძრავითა მისითა,

მოძრავითა მისითა,

ცითა მისითა,

წყლითა მისითა,

მიწითა მისითა.“

მუხრან მაჭავარიანს ღრმადა აქვს გაცნობიერებული, რომ „ქართული ანბანის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ენა! ქართული ენის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ანბანი! ორთავეს გარეშე წარმოუდგენელია საქართველო! საქართველოს გარეშე წრმოუდგენელია ორთავე!... (მაჭავარიანი, „დროული, ღირსეული, საჭირო“, 2007: 134-135)

მშობლიური ენისადმი მიძღვნილ მრავალ ლირიკულ ნიმუშს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსი ,,რაშია საქმე?!“ ეს პოეტური განაცხადი

პირდაპირი გამოხმაურებაა 60-იან წლებში საბჭოთა კავშირში ფართოდ გავრცელებული იმ შოვინისტური თეორიისა, რომელიც ,,აგაევშჩინის“ სახელით იყო ცნობილი და რომელიც ე.წ ,,ორენოვნების“ უბადრუკ თვალსაზრისს ასხამდა ხოტბას (ნიკოლეიშვილი, 2002:404-405).

პოეტმა ლექსი ,,რაშია საქმე?!“ იმათ საპასუხოდ დაწერა, „ერთს ქადაგებს ვინცა ვინ ენასა“. საქართველოს ისტორიული წარსულიდან მოხმოდილი არგუმენტებით იგი ერთხელ კიდევ შეგვახსენებს ჩვენი ერის მრავალჭირნახული გზის სიწმინდესა და იმ თავდადებას, რაც დედაენის გადასარჩენად გამოავლინეს სახელოვანმა მამულიშვილებმა:

„კი, მაგრამ ... ღმერთი აღარა?! ბნელა?!-
ქართული იქნებ ვინმეს ნორჩი ჰქონია ენა?!
ვინმემ, არცაა გასაკვირი-არც იცის იქნებ,-
ქრისტეს შობამდე რომ შეიქმნა ქართული წიგნი.
არა! ეს აეს რომ არ იყოს, კიდევ,-ხო, მარა!-
ასე რომ არის?!
არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, მე მგონი, ცოტა
არც იმას,- წერდნენ რა ენაზე ვაჟა და შოთა!
კრწანისის მიწად, ასპინძის მიწად, დიდგორის მიწად,
მარაბდის მიწად-
განა ქართველი არა ერთი იმიტომ იქცა,-
ქართულს ნატრობდეს დღეს ქართლი სიტყვას?!
კი, მაგრამ.. ღმერთი აღარაა?! ბნელა?!-
ქართული იქნებ ვინმეს მდარე ჰგონია ენა?!“

(მაჭავარიანი,2007:451)

ენა არის ცხოველი, მკვიდრი კავშირი, რომელიც ერთობის სულს უდგამს ერის აწმყოსა და მომავალ თაობას, ის არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია,- ის

არის თვით სიცოცხლე. როცა ხალხის ენა ჰქრება, - ქრება ხალხიც, ამიტომაც უმნიშვნელოვანესია ენის სიწმინდის დაცვა, მომავალი თაობისთვის ამ საუნჯის გადაცემა და იმ შეგნების გააზრება, რომ „ენა არ გაწყენს არც ერთი, უნდა იცოდე რამდენიც, ოღონდ არ უნდა დაჰკარგო ქართული სიტყვის ნათელი!“ პოეტი არ ერიდება საყვედურისა და აუგის თქმას იმ ახალგაზრდების მისამართით, რომლებიც

„ისე აღზრდილნი არიან,
ქართულად ხმას ვერ იღებენ,
რუსულად - გაგიხარია!
.....
ვინც არც იცის და არც უნდა
იცოდეს ჩვენი წარსული;
ვინც ხმას ვერ ირებს ქართულად,
არც სხვისი ესმის ქართული.“

(მაჭავარიანი, 2007:175)

მუხრან მაჭავარიანისათვის მშობლიური ენის არცოდნა წინაპართა უპატივცემულობა და მათი ღვაწლის დაუფასებლობაა:

„ განა იმისთვის იბრძოდნენ
წარსულში მამა-პაპანი -
დღეს შვულმა აღარ იცოდეს
სისხლით დაცული ანბანი?!
თუკი წინაპარს შანთებით
ვერ დაავიწყეს ქართული,
თუ დღესაც მღერის ქართველი
ფერეიდანში ფანდურით,
შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა,
ვინ იყო შენი გამზრდელი,
შენი გულისთვის დამიწდა
როცა ამდენი ქართველი?!“

(მაჭავარიანი, 2007: 176)

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში ენის საკითხი, რაგდანაც ენის საკითხი ერთ-ერთი მძლავრი შენაკადია, ის რომ ქართული ენა ძველია კიდევ შეგვახსენებს ჩვენი ერის მრავალჭირვარამნახულ გზის სიწმინდეს, თავდადებას.

თავი V

საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი პოზიცია

მუხრან მაჭავარიანის ლირიკაში

მუხრან მაჭავარიანისათვის თანამედროვე საქართველო ყოველთვის იყო წუხილის საგანი. წარსულის დიდებით თავის მოწონება, გმირი წინაპრებით აღტაცება საკუთარი ისტორიის პატივისცემას ნიშნავს, მაგრამ ყოველ დროს თავისი აღმაშენებელი სჭირდება, თავისი - შოთა და ცოტნე. გმირის მასაზრდოებელი წყარო არ უნდა დაიშრიტოს. ილიასი არ იყოს, თუკი ,,გმირის დამბადი დიდი საგანი ჩვენში სპობილა და წაწყმენდილა“, ერს არსებობა გაუჭირდება, ერთ დაკნინება. სწორედ აქედან იღებს სათავეს მუხრანის გულისტკივილი: „როდემდე უნდა იამაყოს ქართველმა ხალხმა ისევ და მხოლოდ: გინდა შოთათი, გინდა ცოტნეთი?! დევგმირთა ძველთა, ვერა შევმატებთ უკეთუ ახალთ?!“

აქტიური ადამიანური საწყისი, ადამიანის მოვალეობა ქვეყნისა. ხალხის წინაშე, თვით ადამიანური ნებით უნდა გამოიხატოს. ამიტომ გვაფხიზლებს პოეტი: ,,საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა“...

მუხრან მაჭავარიანის გაბედული სიტყვა არასდროს არ გაწყვეტილა. ჯერ კიდევ საკუთარი პოეტური გზის დასაწყისშივე გამომწვევად განაცხადა:

„ვერ დამადუმონ,
ვერ დამძალონ -
თუნდ ჩამქოლონ...
ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს...“

(მაჭავარიანი, „ანდუყაფარო“,)

პოეტს ერის წიაღიდან მომდინარე ადამიანური სულმოკლეობა აშინებდა, ამიტომ როდესაც ხედავდა მათ ქვეგამხედურობას, ვინც სიტყვით სამშობლოს და მოყვასს ფიცულობდა, ხოლო ფარულად ძირს უთხრიდა ქვეყანას, აფთხილებდა თანამემამულეებს:

„ ღირსებას სხვისას კვლავაც რომ ვერ ვგრძნობთ,
ძმას ცოცხალს საფლავს რომ ვუთხრით ახლაც ..
რეგვენი თუა,-ის რომ გვსურს მაღლა...
ეს გზა რას გვიზამს,-
იმასაც ნახავთ.“

(მაჭავარიანი, 1967:13)

ხოლო კაენის შთამომავალ საკუთარი გვარტომის შვილს სრულიად დაუფარავად, ღიად და აშკარად მიმართავდა:

„ ვიდრე ღმერთი შენთვის სიკვდილს გაიმეტებს,-
ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთი!
ხოდა,
ან გამყიდე,
ან ცოლი წამგვარე,
ან დანა დამარტყი,
ან რაღაც ამგვარი.“

(მაჭავარიანი, 2013:152)

ქვეყნის მოსალოდნელი დაქცევის, ძმათა შორის ატეხილი შფოთით გამოწვეულმა უნაპირო სევდამ ათქმევინა მუხრანს:

„ზიზღის ანთია ჭიაკოკონა,-
გამჭვარტლულია მისგან ცარგვალი!
საქართველოა ახლა როგორიც!-
მე საქართველო
არ მსურს
ამგვარი!“

(მაჭავარიანი, 2013: 63)

მუხრანის ბობოქარი სული არასოდეს მიჰყოლია მდორე დინებას, დღესაც ბევრის მიძინებულ გონებას აფხიზლებს ასეთ სტრიქონებად გადმოშლილი ქვეყნის გულიდან ამოღებული ვარამი:

„როდესაც ვხედავ,-
დამხობილს პირქვე,-
სამშობლოს ჩემსას,-
ღვთისმშობლის წილხვედრს,-
ხე უნდა ვიყვე,-
რომ არ ავტირდე?!
რომ არ ავტირდე-
ქვა უნდა ვიყვე!“

(მაჭავარიანი, 2013: 90)

მწერლობის განსაკუთრებული ყურადღების საგანს ყოველთვის წარმოადგენდა ფართო საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მაშტაბების მქონე საკითხების მხატვრული წარმოსახვა. მ. მაჭავარიანის პოეზია ამ თვალსაზრისითაც ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია. როგორც მისი შემოქმედების უბრალო გაცნობითაც ადვილად დარწმუნდება მკითხველი. პოეტი იდეოლოგიური დოგმატიზმით შებოჭილობის იმ მძიმე წლებშიც კი მოქალაქეობრივი აქტიურობითა და გაბედულობით იდგა ეპოქალურ მოვლენათა შუაგულში და იმუამინდელი ჩვენი

ცხოვრებისათვის ფართოდ დამახასიათებელ მანკიერებათა მხილების დროს ზნეობრივი სიწმინდისა და პატიოსნების დროშა ძირს არასოდეს დაუხრია(ნიკოლეიშვილი, 2000:45). გავიხსენოთ, მაგალითად, 1959 წელს დაწერილი ლექსი ,,სხდომა“:

„თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით.
და... გარეშე ყოველგვარი ხათრის,
განსწავლულის (ეს რა ვნახე!) პრეტენზიით, -
ტრიბუნაზე უწიგნური ადის.
თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით.
და... გარეშე ცეროდენა ხათრის,
-პატრიოტის (ვიღუპებით !) პრეტენზიით,-
ტრიბუნაზე უცხო თესლი ადის.
თავჯდომარე ორატორებს უხმობს სიით
და... ტყუილში ქურციკივით მარადი,
-ქველმოქმედის(დავიღუპედ!) პრეტენზიით,
ტრიბუნაზე მატრაბაზი ადის.
და... გექნებათ შენიშნული, ალბათ,
ჩაწყობანი როცა ხდება კარტის,-
ზოგიერთი, ვინც ვერ უძლებს ამას,-
დარბაზიდან ფეხაკრებით გადის.“

(მაჭავარიანი,2007:192)

მანკიერებათა მხილებისა და საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღების ტენდენცია მისი შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მძაფრად მფეთქავი ნერვია. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია თავის დროზე ფართოდ გახმაურებული პოლემიკური ლექსი ,, ,,ვაი ჩვენს პატრონს“, რომლის უმთავრესი სათქმელის არსს მოყვრისთვის პირში ნათქვამი საძრახისის სიბრძნე განსაზღვრავს:

„დავდივარ, როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი, ხან კიდევ კევრი.
ვხედავ: რეგვენი ლაპარაკობს ამაყად, მძიმედ,
და მე შენ გეტყვი, უბატონოდ ხმას გასცემს ვინმე.
ქალი თუ კაცი ეჯიბრება იმაში ერთურთს:
ფიქრისა და სიტყვის დაშორებას ვინ შესძლებს უკეთ.
გზადაგზა მხვდება კმაყოფილი სიფათი რეგვნის,
ფოთლებს უწვდიან ლამაზმანებს ამაოდ ლეღვნი.
დროდადრო მესმის უხერხული ხალხური ლექსი:-
ვჭამოთო კარგად, არაფერი შეგვრჩება მეტი.
ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო-
და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ.“

(მაჭავარიანი,2007:393)

როგორც ცნობილია, მწერლობა საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღების უპირველესი იარაღია. ქართულ ლირიკას არასოდეს უღალატია ამ საპასუხისმგებლო მოვალეობისათვის და მისი განვითარების უმთავრესი ტენდენციად მუდამ რჩებოდა დაუოკებელი სწრაფვა საზოგადოების სულიერი გაჯანსაღების, ზნეობრივი განწმენდისა და შინაგანი გაკეთილშობილებისაკენ.

პოეტს გონებას და სულს უფორიაქებს ეროვნული სათქმელ-საფიქრალი. მისი ლექსების სტრიქონებიდან იგრძნობა დაუამებელი ტკივილი-ისტორიული ბედუკღმართობისა, თანამედროვე ქართველის ზნეობრივი დაცემისა, დაკნინებისა:

„საქართველოში მრავალჯერ თუმცა
სიკვდილის მოდგა ელჩი;
გუგულის კვერცხი
ესოდენ უხვად
ჯერ არ ყოფილა ჩვენში!
დოლაბი ბევრი ბრუნავდა თუმცა

ქართველი ხალხის თხემზე;
გუგულის ბარტყი ესოდენ ურცხვად
არ მოქცეულა დღემდე!
მრავალჯერ თუმცა ვაჟკაცთა საფლავს
დედის ათოვდა თმანი;
სიტყვა ქართული ესოდენ მძაფრად
არ სწყურებია დმანისს!
საცაა, გუგულს, ვიცი და ვიცი,-
ბუდე დარჩება მერცხლის ...
სირცხვილით იწვის,
სირცხვილით იწვის
კრწანისის ველზე ცეცხლი!“

(მაჭავარიანი, 2013:346)

მუხრანი ადამიანის ცხოვრების საზრისს სამშობლოს ზრუნვაში ხედავდა, თუმცა, მავანთა შემხედვარე ხშირად მწარედ ამოიოხრებდა ხოლმე:

„ ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო
ჭამა და სმის მონელება თუ არის მხოლოდ!“

(მაჭავარიანი,2007:102)

პოეტმა იცის, რომ ხშირად ქვეყნის წარუმატებლობის მიზეზი ქართველთა შორის არსებული შური და გაუტანლობა იყო, რომ არაერთი ღირსეული მამულიშვილი გახდა სამშობლოსთვის დაკარგული, მისი გონებრივ-ფიზიკური პოტენციალი კი სრულად დაუხარჯავი, სწორედ ამიტომ ამბობს გულმოკლული, „ქვეყანა დაღუპა შურმა“ (მაჭავარიანი, 1999:231).

ასეთ ვითარებაში პოეტის დუმილი მტრის წისქვილზე წყლის დასხმას ემსგავსება, ამიტომაც მავანთა გასაგონად ამბობს:

„ თუ ფიქრობთ ვინმე, -
გავკმინდოთ ენა! –
შენც არ მომიკვდე!

არა და ვერა!

ახლა კი დროა! –

ახლა კი დროა, -

სოლომონ რომა, -

კვლავ დაიქუხოს საქართველომა!“

(მაჭავარიანი, 1999:235)

ამრიგად, მუხრან მაჭავარიანის პოეზია გაჯერებულია იმგვარი ლექსებით, რომელთა მთავარი მიზანიც ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე დაყენებაა.

თავი VI

პოეტისა და პოეზიის დანიშნულება

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში

,,პირველთაგან იყო სიტყვა და სიტყვაი იგი იყო

ღმერთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“(იოანე1,2)

პოეზია მუხრან მაჭავარიანისთვის - სამოძღვრო ამბიონია, ღრმა იდეათა ნაკადის შემცველი, ამიტომ მისი ჩაყენება ქვეყნის სამსახურში შემოქმედებითი მოღვაწეობის აუცილებელ პირობად მიიჩნია. პოეტისთვის სიტყვა გაცილებით მეტს ნიშნავს. ის გადარჩენის საშუალებაა. იგი წერდა: ,,შეიძლება, ვინმემ თქვას: - ეგ, რა პოეტის საქმეაო?! ვერ დავეთანხმები! - სიტყვასთან დაკაშირებული რაცაა, პოეტის საქმეა ყველაფერი. შემთხვევით როდია პოეტის ძველ ქართული სახელწოდება, ,,სიტყვისმოქმედი"(მაჭავარიანი,2014:14).

ილია მართალი წერდა: ,,პოეზია უცნური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია. პოეზია ღვთაებრივი ღონეა, გულის სიღმიდან ადამიანის გრძნობათა მარგალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველმყოფელი და ხორცშესხმული უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთი სიტყვით, ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობისა"... ლექს ,,პოეტში" ილია პოეტის შემოქმედებას ფრინველის საამურ ჭიკჭიკს ადარებს და ამბობს: „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო ვით ფრინველმა გარეგანმა", ანუ პოეტის ნაწარმოებები მხოლოდ სიამოვნებას არ უნდა ანიჭებდეს მკითხველს, არამედ შეეძლოს სარგებლის მოტანაც. ილიასა და აკაკის ფესვებიდან ამოზრდილს მისი წინაპრებივით შუაკაცობის მძიმე ჯვრის ტარება ერგო წილად და ღირსეულადაც ზიდა. მუხრან მაჭავარიანისათვისაც პოეზია უდიდესი პასუხისმგებლობაა არა მარტო თანამედროვეთა, არამედ წინაპართა წინაშე. რუსთაველის, გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას შემდეგ ძარღვიანი და მოქარგული სიტყვა თქმას დიდი გამბედაობა სჭირდება. იცის რომ ეს საქართველოში უდავოდ სახიფათოა და ამიტომაც ერთგვარი შიშით ამბობს:

„ვაითუ, ღირსია ცეცხლის,-
რაც მოვისისხლფორთე დღემდე!"

(მაჭავარიანი, 2013:180)

პოეტი ყოველთვის იდგა თავისი სიტყვის სადარაჯოზე, მუდმ გაიძახოდა: „თუ ფიქრობთ ვინმე, გავკმიდო ენა! შენც არ მომიკვდე ! არა და ვერა!" (მაჭავარიანი, 2004: 47). მისთვის პოეზია იყო სიტყვა, რომელიც კარს გაუღებდა სიმართლეს,

ჭეშმარიტებას, რეალობას რომელიც მის ირგვლივ არსებობდა. ყოველვის ამბობდა რომ სიცოცხლით ან სიკვდილით უნდა გამოვადგე მამულსაო.

„ვიტყვი,-
ჯვარზე მაცვან თუნდა
გამოვადგე მამულს უნდა
ან სიცოცხლით, როგორც ვაჟა!
ან სიკვდილით როგორც ცხრა ძმა!“

(მაჭავარიანი, 2004:345)

პოეტი ცდილობს, მოდუნებული და შეშინებული ერი შეძლებისდაგვარად სიტყვით მანიც გამოაფხიზლოს... თუმცა ისიც უწყის გურამიშვილივით, რომ ,,ვა, თუ გავხდე დასაკარგი“!

„ხმას ამოიღებ - ვაია!
ჩუმად იქნები - უი!
ვინც ლაპარაკობს ტყუის!
ვინც დუმს, ის უფრო ტყუის!“

(მაჭავარიანი,2013:297)

მაგრამ დუმილი ხომ უმოქმედობაა... ამავდროულად, პოეტის აზრით,

- არა იმიტომ, რომ სიტყვა ,,ქურდმა“
უარყოფითი დაჰკარგა ჟღერა !
არა იმიტომ, რომ თუ ხარ სუფთა,-
შენსავით მტერმა იცხოვრა შენმა!-
საქმე იმიტომ უფროა ცუდად,
რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!
სცდება, ვინც ვინმეს სიფიცხეს უქებს,
ვინც ითმენს, ისიც არაა ბრძენი,
საქმე მაშინღა იქნება უკეთ,
ვითაა, როცა შეიგნებს ბევრი!

(მაჭავრიანი,2007:360)

ამ ტიპის ლექსებში მკითხველი ადვილად დაინახავს არა მარტო მწერლის მამხილებელ პოზიციას, არამედ იმასაც, რომ პოეტი ერისა და სამშობლოს წინაშე წარმოსდგება, როგორც განმკითხველი საზოგადოების ზნეობრივი სახისა, პასუხისმგებელი ქვეყნის ხვალინდელი დღისა.

მუხრან მაჭავარიანს ღრმად ქონდა გააზრებული, რომ „თუ კაცს წარსულისა და მომავლის წინაშე პირნათლად ყოფნის სურვილი არ აქვს, მისგამ რაიმე სასიკეთოს არც უნდა ელოდე. პატიოსანი კაცისათვის ყველაზე დიდი უბედურებაა მისი მოსაზრების გამტყუნება ხვალინდელი დღის თვალში... ჭეშმარიტი მწერლობის ამოცანას ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ერის ხასიათის გამოხატვა და შენარჩუნება“ (მაჭავარიანი, 2007:154).

მუხრან მაჭავარიანმა ტრადიცული პატრიოტული ქართული ლირიკის ძირითადი იმპულსები ისე გაითავისა, მკითხველი მას არა მარტო ემოციურად განიცდის, არამედ თვალითაც ხედავს და ფიზიკურადაც აღიქვამს. ეს კი მუხრან მაჭავარიანის პოეზიას თვითმყოფად, ეროვნელი სულის მატარებელ ფენომენად ხდის:

„საშველს რომ აღარ მაძლევს
ხოლმე მამულზე ფიქრი;
ხანდახან, გულში ღიმილით
ვიტყვი:
რა ჩემი ჭკუის საქმე ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ
გიჭირს!
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
და ანდა რომელი მსაჯული მისი!
პასუხად მყისვე, ვითარცა
სეტყვა,
ვინც კი და რაც კი არსებობს
ირგვლი,-
იხულვებს ხოლმე, იხულვებს ერთხმად :-

ღალატიაო მაგგვარი ფიქრი.“

(მაჭავარიანი, 1979:45)

ერთ თავის ლექსში მუხრანმა ასეთი ალტერნატივის წინაშე დააყენა თავისი თავი: ,,ან გამოხატე ეპოქა შენი, ანდა წერაზე აიღე ხელი! ამოირჩიე ორიდან ერთი - სხვა გზა არც იყო, არც არის შენთვის!“ მწერლის მოქალაქეობრივ მოვალეობად დამკვიდრებულ ამ პრინციპს, როგორც ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციიებით დაკანონებულ ჭეშმარიტებას, ასე ღებულობს პოეტი (ნიკოლეიშვილი,2000:432).

პატრიოტული გრძნობის ასეთი თავისებური გამოვლენა არც ერთ ტრადიციულ ყალიბში არ თავსდება. იგი მხოლოდ მუხრანსეულია, მისი პოეტური ნიჭის განსაკუთრებული თვისებაა. „საკუთარი თავის პოვნის გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტი შემოქმედება. ამისათვის კი აუცილებელია საკუთარი ფიქრის შედარება და შემოწმება კაცობრიობის უმაღლეს გონებრივ ქმნილებათა შუქზე... წარმოუდგენელია, ნამდვილი პოეტი არ ცხოვრობდეს თავისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებით, არ ფიქრობდეს მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე“ - აღნიშნავს ერთგან პოეტი და საკუთარი ლირიკული ქმნილებებით ცდილობს ამ ჭეშმარიტების დასაბუთებას. მუხრან მაჭავარიანი, როგორც ეს ჭეშმარიტ შემოქმედს შეშვენის, მარად მღვიძარებაშია, სამშობლოს მაჯისცემასაა მიყურადებული.

სამშობლოს მძიმე ვითარების შემყურე პოეტს არ ასვენებდა სევდა, როცა სისხლიან თარეშს სოციალური, ზნეობრივი, ეროვნული თუ სხვა სახის მრავალი ძნელბედობა ენაცვლებოდა, სწორედ ასეთ დროს აღმოხდებოდა ხოლმე: ,,გაუმარჯოს... საქართველოს მოთმინების ფიალას!“

კაცთა სიყალბით აღშფოთებული გულმართალი პოეტი აცნობიერებს, „ვინც ლაპარაკობს , - ხომ სტყუის! ვინც დუმს, - ის უფრო სტყუის“ („ხმას ამოიღებ“). პოეტმა კარგად იცის მედროვე პოეტთა ხვედრი. ისინი ფიჩხის ცეცხლივითაა, აბრიალებას რომ ვერ ასწრებენ და ისე ინაცრებიან. ამიტომაც აფრთხილებს მავანთ:

„პოეტი დროის ამყოლი თუა!-

იმ უდღეურმა იცოდეს, დროა:

იმ დროს გაჰყვება იმისი წიგნი,-

არის ამყოლი როდესაც იგი!“

(მაჭავარიანი, 2013:201)

მუხრან მაჭავარიანის ლექსებიდან მოისმის სამშობლოს ჭირისუფალი პოეტის ბოლომდე გულწრფელი და მონდობილი საუბარი, ამიტომაც, აცხადებს მუხრანი სრულიად თამამად და გულღიად ლექსში „ხარ საესავი“:

„სამაგიეროდ,- ჩემში რაც არი , -

სხვისი არაა ერთი მისხალი.“

სამშობლოს სიყვარული მუხრან მაჭავარიანისათვის დალხენილ ყოფას კი არ გულისხმობს, არმედ მისი კეთილდღეობისათვის დღენიადაგ ზრუნვას, ხოლო თუ ამას მის გადარჩენის დარდიც ემატება, მართლაც გოლგოთაზე უფრო ციცაბოდ ჩანს ამ ტვირთის საზიდი გზა, ამიტომაც უთქვამს ერთგან: „საქართველოო, გოლგოთაზე უფრო ციცაბოვ!“ („ღაღადისი ილიასი“).

თუმც პოეტს არ აკრთობს ეს გზა, პირიქით, მხნედაც, ბედნიერადაც ჩანს, რაკი ეს მისია არგუნა ბედმა (თუ თავად ირჩია) მასაც და მის ლექსსაც. ყოველმა რჩეულმა კაცმა (იქნებ არარჩეულმაც) თავისი ჯვარი უნდა ზიდოს , დიდი თუ მცირე, რაც განგებას მისთვის დაუკისრებია, რისი შეძლებაც მიუცია.

„მას გაუმარჯოს,

სწორედ მას, მარტო,

და ღმერთმა ხელი

მას მოუმართოს,

ხმა ილიასი

რომელსაც ახსოვს:

-ჩვენ უნდა მივცეთ

მერმისი ხალხსო!“

(,, ვის გაუმარჯოს“).

მუხრანი საკუთარ პოეტურ მოწოდებას თავად ხომ ერთგულად მისდევს და მკითხველსაც ამ განწყობილებას უნერგავს:

„ვიტყვი,-
ჯვარზე მაცვან თუნდა:
გამოადგე მამულს უნდა:
ან სიცოცხლით,
როგორც ცხრა ძმა!-
ან სიკვდილით,
როგორც ვაჟა
არ არსებობს სხვა გზა!“

(,,გურამიშვილის არ იყოს“).

პოეტი არც სიკვდილის შემდეგ აპირებს დუმილს. პოეზიის უკვდავებაზე, პოეტის მარადიულ არსებობაზე მიგვანიშნებს პარადიგმად ქცეული მუხრან მაჭავარიანის პოეტური სახე - ყველაზე ახლობელ ადამიანებთან პოეტის მოსვლა საკუთარი ,,საფლავის ლოდით“:

„ სულ რამდენიმე, ორი, თუ სამი,
იმედად რჩება, არსებობს სახლი,
სადაც მე ძალმიძს, ყოველ დროს ძალმიძს,
მოულოდნელად დავრეკო ზარი...
და, ერთხელ, როცა, და, ერთხელ, როცა
ეგ სახლი შეწყვეტს ჩემდამი ლოდინს, -
მე ისევ მოვალ, კვლავ შენთან მოვალ,
მხარზე ჩემივე საფლავის ლოდით“.

(მაჭავარიანი, 1973:123)

მიუხედავად მამულზე ტკივილიანი ფიქრებისა, პოეტს არასოდეს შერყევია წრმენა მის მომავალში და მიკითხველსაც ამასვე უნერგავს ბეჯითად:

„უცხო წყალი ცხენისწყლობდეს?!
უცხო წყალი ალაზნობდეს?!-
არ მომხდარა არასოდეს!-
არც მოხდება

არასოდეს!“

(,,არ მომხდარა, არც მოხდება“)

მაგრამ პოეტისათვის ისიც ნათელია, რომ ამას საერთო გარჯა და თავდადება სჭირდება, განზე გადგომა არავის მართებს, ,,ღალატიაო მაგვარი ფიქრი!“ არადა, ყველას როდი ესმის ეს, ბევრნი არიან საკუთარ კეთილდღეობას გადაყოლილნი, ისეთებიც მრავლად გვხვდებიან, ,,ვინც სამშობლოთი, სამწუხაროდ, არაა ავად, ჰკიდია ვისაც საქართველო ფეხებზე შენი“(,,მიზეზი ყოვლის“).

მამულით არის შთაგონებული მისი ყოველი ლექსი. მამულის უკვდავება პოეტისათვის ენის უკდავებასთან არის გაიგივებული. სამართლიანადაც. ეს მოტივი მთლიანად გასდევს მის ლირიკას, ხოლო ერთერთი მისი საუკეთესო გამოხატულება ესეცაა: „რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა“ (,,მარტო იმიტომ“).

მუხრან მაჭავარიანი აღნიშნავს, „არ შეიძლება, რომ ჭეშმარიტი ხელოვანი, თუ იგი ნამდვილად ნიჭიერია, არ გრძნობდეს დროის მაჯისცემას, განზე უდგებოდეს მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს! ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ უხეიროდ, უსულგულოდ დაწერილი ლექსი, თემატურად რაც არ ინდა აქტუალური იყოს იგი, - მკითხველს ცუდ გუნებაზე აყენებს“ (მაჭავარიანის ,,ჩვეულებრიობით არაჩვეულებრივი). გალაკტიონი ამბობდა:

„ლექსებში ხშირად ყველაფერი თავის რიგზეა,
სახე და ფორმა, რიტმიც თითქოს საკმარისია,
მხოლოდ ერთი რამ არის ცუდი: ყოველი წესით
თითქო ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი!“

დღევანდელობის მრავალი საჭირბოროტო საკითხი მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში სწორედ ამ დიდი პასუხისმგებლობითაა აღქმული და გააზრებული. მისი პოეზიის ლირიკული გმირი ბევრს ფიქრობს იმაზე, ,,რას იტყვის მასზე შთამომავლობა“, რას უტოვებს იგი ქვეყანას განძად და ღვაწლად, რას სძენს სახვალიოსა და საამაყოს თანამედროვეობას, ამიტომ მუხრან მაჭავარიანი მუდამ ფხიზლად დგას ქვეყნის სადარაჯოზე. აკი, თავად ამბობს ერთგან: „ვით ამოღებული

მოვდივარ ხმალი; ფეხთ მიწა მაცვია, თავს მხურავს ზეცა...“ (მაჭავარიანი, 1989:676). პოეტი თავისი ომახიანი შეძახილით აფხიზლებს და აფრთხილებს მკითხველს:

„მწუხრია თუ ღამე თუ რიჟრაჟი, -
ვიძახი და ვიძახი და ვიძახი:
- ვის ხელშია ბიდი ვისი,
ვისაში?!
ვის ხელშია ბედი ვისი,
ვისაში?!“

(მაჭავარიანი,1989:13)

მუხარნ მაჭავარიანი მარტო ბრწყინვალე პოეტი კი არა, უერთგულესი მამულიშვილიცაა, რომელსაც ერის წყლული საკუთარ წყლულად მიაჩნია. ,,საშველს არ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი“-ო, ამბობს იგი და მძიმე ჯვარივით ატარებს ქვეყნისა და ხალხის ტკივილს. ასე გაიზარდა და ასე ესმის მას სამშობლოს სიყვარული. ის ვერ დაადუმეს, ვერ შეაჩერეს, მისი სიტყვა გაბედულია, მისი ლექსი მქუხარეა. მისი შეშინება მარტივი არაა, იგი სიმართლის დაუღალავი ქომაგია.

საქართველოში საკმარისია ახსენო მუხრანის სახელი, მისი ერთი ფრაზა, ერთი სტრიქონი მისი ლექსიდან, მაშინვე ათასი ხმა წამოგეშველება და გააგრძელებს სიტყვას. როცა მუხრან მაჭავარიანზე ლაპარაკობ, უნდა შეძლო, სცადო მაინც, მისებრ გიყვარდეს სამშობლო, მისებრ ღრმად ჩასწვდე საქართველოს ტკივილებს:

„სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო! _
ვინც საქართველოს ესწრაფვის ქართულს
არა ცრუ ქართულს! -
ნამდვილად ქართულს,
სიტყვითურთ ქართულს! -
საქმითურთ ქართულს!“

მუხრან მაჭავარიანი საყოველთაო სახალხო პოეტია, რომელმაც შეძლო ეროვნულ-ღირებულებათა ახლებური შეფასება, მიძინებული სულის აღორძინება, რომლის

შემოქმედების წყარო და საფუძველი უპირველესად მშობლიური ქვეყნის ტკივილებით აღსავსე გახლავთ:

„მეცხადებიან თაობები გადაცელილი,
მევე მაოცებს აძგერება ჩემი გულისა...
მე მეცხრამეტე საუკუნიდან
მესმის „ურმული“ - თაფლის ცრემლივით
წვიმა მასველებს მეჩვიდმეტე საუკუნისა.“

(მაჭავარიანი,1979:56)

ვილაპარაკო მუხრანის პოეზიაზე, ნიშნავს ვილაპარაკო ყველასთვის მახლობელზე, ყველასათვის ძვირფასზე. იგი, იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც იტვირთა ქართული ლიტერატურის, პოეზიის განახლება, განვითარება. ამ თაობაში კი გამორჩეული თავისთავადობით დაიმკვიდრა ადგილი მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებამ.

პოეზია მიძინებული და უმოქმედო ერის გამოფხიზლების მძლავრი იარაღია მისთავის და ამით იგი ერის სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის, იდეურ შთამომავლად გვევლინება:

„როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!
(ქვეყანას ღვიძავს !-
დღეს სძინავს ვისღა)?!..
ჩვენი მზის სხივს და ჩვენი ზვრის ყურძენს
როდემდე უნდა ვიღებდეთ სხვისგან?!
როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!
(ნეტავი, ჩვენში ყოველგვარი
რამ ჩაჰკლა რისკი)?!
და დუმილისკენ,
ღრმა დუმილისკენ
გვეჭიროს უნდა როდემდე კურსი?! “

(მაჭავარიანი,1979:80)

იყო პოეტი ნიშნავს - ყური მიუგდო შენი ქვეყნის მაჯისცემას, აწონ-დაწონო სათქმელი და ისე ჩადგე ქვეყნის სამსახურში:

„კაცი ხარ მაშინ,
თავზე ქუდის მაშინ ხარ ღირსი,
როდესაც იცი,-
ზედმიწევნით როდესაც იცი!
რა არ უნდა თქვა,
რა უნდა თქვა,
როგორ უნდა თქვა,
სად უნდა თქვა,
სად არ უნდა თქვა,
რატომ უნდა თქვა.
ცხრა თვალი გმართებს,
ცხრა ყური გართებს,
ნათქვამიც შენი,
ვითარცა სხვათა,-
არ გახდეს რათა
სხვების და სხვების
გულისხმიერი განხილვის მსხვერპლი.“

(მაჭავარიანი, 2007:268)

ახალგაზრდობას შეუძლია ზოგიერთი რამ ისწავლოს მისგან, საკუთარი ბუნებისადმი უტეხი ერთგულების მაგალითი უნდა გადმოიღონ და შინაგანი, თანდაყოლილი რწმენაც იმისა, რომ პოეზია არა უკვე დამკვიდრებულის დაუფლებაა, არამედ იმაზე ზრუნვა, რაც ჯერ მუნჯია, უენოა და სწორედ შენგან მოელის ამეტყველებას. ამას დიდი გაბედულება და ძალისხმევა სჭირდება.

ამრიგად, მუხრან მაჭავარიანის პოეზია ნათელი დასტურია იმისა, რომ პოეტის ყოველი სტრიქონი დიდი ფიქრის, ტკივილის განცდის შედეგადაა მიღებული. მუხრან მაჭავარიანი ყოველ სიტყვას ეფერება, ელოლიავება და ისე მოაქვს მკითხველთან.

ღვთისაგან მომადლებული ნიჭი პოეზიისა, მას განსაკუთრებულ ვალდებულებას აკისრებდა. შუაკაცობის უმძიმესი ტვირთი ღირსეულად ზიდა... არასოდეს უღალატია პოეზიისათვის.

დ ა ს კ ვ ნ ა

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში 60-70-იანი წლები მნიშვნელოვანი სიახლეებითა და მიღწევებით ხასიათდება. ეროვნული პოეტური აზროვნების შინაგანი განახლების ეს პროცესი, უპირველეს ყოვლისა, იმ თაობის მწერალთა სახელენს უკავშირდება, რომელნიც 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-60-იან წლებში გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზე. მუხრან მაჭავარიანი ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და თვითმყოფადი წარმომადგენელია. თავისი დროის რამდენიმე პოეტთან ერთად მან უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თანამედროვე ქართულ პოეზიაში ახალი ტენდენციების დამკვიდრების საქმეში. სიახლის ძიება, თანამედროულობის საჭირბოროტო საკითხების შეულამაზებლად, მაგრამ მაღალმხატრულად წარმოსახვა, მარადიული პრობლების - სიკეთისა და ბოროტების თუ სიკვდილ-სიცოცხლის ასპექტების სიღრმისეული განსჯა, თვისებრივად ახალი ეთიკური და ესთეტიკური იდეალების წარმოჩენა განსაზღვრავს მუხრან მაჭავარიანის ქართული პოეზიის ძირითად მიზანდასახულობას.

მუხრან მაჭავარიანის გამორჩეულად თავისთავადი პოეზიის შესახებ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ყველაზე ხშირად გაისმა სიტყვა „ნოვატორი“. იშვიათია მწერალი, რომლის სიტყვასაც ასე მოუთმენლად მოელოდნენ და ასეთი გულისყურით უსმენდნენ მთელს საქართველოში. მას ერთი წუთითაც არ მოუწყვეტია თვალი წარსულისათვის, ტრადიციულისათვის, „მარად ქართულისათვის“. მისი პოეზია არის მედგარი, თავდავიწყებული ბრძოლა იმისათვის, რაც სწამს და არ ემეტება დასათმობად.

რაფინირებული კლასიკური ფორმების აღზევების ჟამს 40-50-იანი წლებში, ქართული მკითხველისათვის რამდენიმე უჩვეულო და მოულოდნელი აღმოჩნდა მუხრან მაჭავარიანის მიერ გამოქვეყნებული ,,ხორკლიანი” ლექსები. ამგვარ ფორმისეულ სიახლეს ის მოჭარბებული სასაუბრო ინტონაციებითა და ყოფითი დეტალებიც ემატებოდა, რომელნიც მან შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში თავისი პირველივე ნაწარმოებებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მუხრანის პოეზიაში ფართოდ გამოვლენილ ვერსიფიკაციულ სიახლეებს, ეპოქალურ მოვლენათა კრიტიკულ-პოლემიკურ განსჯას, ეროვნულ-ეთნოგრაფიული კოლორიტის ხელშესახებ განცდას, მკვეთრად ინდივიდუალურ ენობრივ პოზიციასა.

თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში მუხრან მაჭავარიან მართლაც, რომ საღვთო ომში იყო ჩართული, ქართული სიტყვის, ქართული სულის, საქართველოს წარსულისა და მომავლის გადასარჩენად გამართულ ომში... მას მიაჩნდა, რომ პოეზიას განსაკუთრებული ეროვნული მისია ჰქონდა შესასრულებელი. მუხრან მაჭავარიანისათვის სამშობლო მარტო მხარეებით და კილომეტრებით კი არ განიზომება და მთლიანდება, არამედ დროითაც, - თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. წარსულიცა და აწმყოც მხოლოდ მომავლისათვის ზრუნვა და შემზადებაა.

მშობლიური ქართული ყოფა, მშობელი ხალხის ჯვარცმული წარსული იპყრობს პოეტის არსებას. ყველაფერი სხვა ნასწავლია და მხოლოდ სამშობლო ქვეყნის სიყვარულია გენით, ჯიშით, სისხლით კოდირებული. აქედან მომდინარეობს წარსულის უპრეცედენტო ხორცშესხმა პოეტის ლირიკულ თხზულებებში.

მუხრან მაჭავარიანს თავისი ლირიკული ქმნილებების გმირებად ხშირად გამოჰყავს ისტორიული პირები. მათი მამულიშვილური საქმეების აქცენტირებით პოეტი ქმნის სამშობლოს მსახურების ნათელ მაგალთს, ნიმუშს. სწორედ ამ შეგნებითაა ნაკარნახევი ლექსებში ფარნავაზ მეფის, ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის , სულხან-საბას და სხვათა შემოყვანა.

მუხრან მაჭავარიანის პატრიოტული ლირიკის ერთ მძლავრ შენაკადს მშობლიური ენისადმი მიძღვნილი ლექსები წარმოადგენს. ქართული ენა პოეტისთვის წმინდა ღირებულებას წარმოადგენს. პოეტმა იცის, რომ ქართული ენის მოუფრთხილებლობა საბედისწერო ნაბიჯად შეიძლება ექცეთ ქართველებს, რადგან ,,ქართული ქართველთა რწმენაა!“

მუხრან მაჭავარიანის მთელი პოეზია ნათელი გამოხატულებაა მისივე მრწამსისა: „ქართულ ენას საქართველოსათვის განსაკუთრებული ისტორია აქვს და ამიტომ იგი განსაკუთრებულ მიდგომასაც მოითხოვს. ქართული მწერლობის პირველსათავე და საფუძველთსაფუძველია ქართული ენა. ლიტერატურისათვის ენა მხოლოდ გამოხატვის საშუალება როდია. ენა აზროვნების და სახისმეტყველების (ანუ მხატვრული აზროვნების) განმსაზღვრელია.

ქართველთა ეროვნული ცნობიერების შექმნაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართულ ანბანს, სწორედ ამიტომ მუხრან მაჭავარიანი მშობლიური ენის გაუფრთხილებლობას დანაშაულად მიიჩნევს. პოეტს ღრმადა აქვს გაცნობიერებული, რომ „ქართული ანბანის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ენა! ქართული ენის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ანბანი! ორთავეს გარეშე წარმოუდგენელია საქართველო! საქართველოს გარეშე წრმოუდგენელია ორთავე!...

მუხრან მაჭავარიანისათვის თანამედროვე საქართველო ყოველთვის იყო წუხილის საგანი. წარსულის დიდებით თავის მოწონება, გმირი წინაპრებით აღტაცება საკუთარი ისტორიის პატივისცემას ნიშნავს, მაგრამ ყოველ დროს თავისი აღმაშენებელი სჭირდება, თავისი - შოთა და ცოტნე. გმირის მასაზრდოებელი წყარო არ უნდა დაიშრიტოს. ილიასი არ იყოს, თუკი ,,გმირის დამბადი დიდი საგანი ჩვენში სპობილა და წაწყმენდილა“, ერს არსებობა გაუჭირდება, ერთ დაკნინება. სწორედ

აქედან იღებს სათავეს მუხრანის გულისტკივილი. აქტიური ადამიანური საწყისი, ადამიანის მოვალეობა ქვეყნისა. ხალხის წინაშე, თვით ადამიანური ნებით უნდა გამოიხატოს. ამიტომ გვაფხიზლებს პოეტი: ,,საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა“...

მუხრან მაჭავარიანმა ტრადიცული პატრიოტული ქართული ლირიკის ძირითადი იმპულსები ისე გაითავისა, მკითხველი მას არა მარტო ემოციურად განიცდის, არამედ თვალითაც ხედავს და ფიზიკურადაც აღიქვამს. ეს კი მუხრან მაჭავარიანის პოეზიას თვითმყოფად, ეროვნელი სულის მატარებელ ფენომენად ხდის. იგი, როგორც ეს ჭეშმარიტ შემოქმედს შეშვენის, მარად მღვიძარებაშია, სამშობლოს მაჯისცემასაა მიყურადებული.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში დანთებული სამშობლოს სიყვარული გადამდებია. მისი პოეზია საქართველოს ისტორიული წარსულის ტკივილიანი უკვდავებაა, რომელიც მარად ქმედითი ოპტიმიზმით გვამახსოვრებს თავს: ,,გულს ნუ გაიტეხ, მუხა კვლავაც შეიმოსება!“

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოჯგუა გ., მუხრან მაჭავარიანი, ,,ქართველ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება“, წიგნი II, გამომც „შემეცნება, თბ., 2015
2. მისივე, „ქრთული მარტო ენაა?! ზღვა როა! იმოდენაა!“, ,,მწერლის გაზეთი“, №4, 2008
3. მაჭავარიანი მ., „ვიძახდი და ვიძახდი და ვიძახდი“, გამომც. „ნაკადული, თბ., 1990
4. მაჭავარიანი მ., „იარონ!“, გამომც. „ნაკადული“, თბ., 1970
5. ქართული ხალხური პოეზია, ტ.7, თბ. 1979
6. მაჭავარიანი მ., „ყოველი ტოტი და ტოტისტოტი“, გამომც. „ჯალი“, თბ., 1999

7. მუხრან მაჭავარიანი., ,,ახლა კი დროა,“გამომც. ,,საბჭოთა საქართველო“,თბ.,1967
8. მუხრან მაჭავარიანი., ,,ვინც იყო იგი რომ არა“, გამომც. ,,ნაკადული“, თბ.,1973
9. მუხრან მაჭავრაიანი., ,,ჩვეულებრიობით არაჩვეულებრივი“, გამომც. ,,ინტელექტი“, თბ.2014
10. მუხრან მაჭავრიანი., ,,ბროშურა“, გამომც. ,,ინტელექტი“, თბ.1999
11. ასათიანი გ., ,,მუხრან მაჭავარიანი, თანამდევი სულები,“ გამომც. ,,მერანი“, თბ.1983.
12. მუხრან მაჭავარიანი., ტ.1, გამომც. ,, ინტელექტი“,თბ.2007
13. მუხრან მაჭვარიანი., ტ.2, გამომც. ,,ინტელექტი“, თბ. 2007.